



კავკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14').

№ 12 (19)

დ ე კ ე მ ბ ე რ ი 1938

№ 12 (19)

შ ი ნ ა ა რ ს ი :

ჰაიდარ ბამატი — გაუმარჯოს უკრაინას!

შ. ამირეჯიბი — კაუცკი, მარქსიზმი და მენშევიკები

გ. კვინიტაძე — იძულებითი პასუხი

დინარელი — კავკასიელ ერთა ერთობისათვის

გ. დიასამიძე — დიდი მგოსნის მიპატიება რაჭა-ლეჩხუმში

* * — კავკასია და სომხები

რ. გ. — კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გაუმარჯოს უკრაინას!

თითქმის ოცი წლის სიჩუმის შეთქმულება უკრაინის გარშემო — დარღვეულია. რკინის კედელი, რომლის იქით იხრჩობოდა მრავალ-მილიონიანი ხალხი, — შენგრეული. მსოფლიო პრესა აკრელდა წერილებით უკრაინაზედ. უკრაინის საკითხი მორიგ საკითხად გადაიქცა — დიდი საერთაშორისო პოლიტიკისა. ამიერიდან, სარწმუნოა, რომ ვერავითარი მოწინააღმდეგე ძალს ვეღარ შეაბრუნებს წოლიტიკურ სასაფლაოსკენ — უკრაინის აღმდგარ ხალხსა.

უკრაინულ პრობლემის სამართლიან გადაწყვეტის გარეშე და მასთან დაკავშირებულ ეროვნულ საკითხებისა ს.ს.ს.რ.-ში — შეუძ-



ლებელია დამყარება ევროპის პოლიტიკური წონასწორობისა, ან მშვიდობიანი ეკონომიურ პირობათა შექმნა ჩვენს კონტინენტზე.

ჩვენ, კავკასიელნი, გადაბმულნი უკრაინასთან საერთო პოლიტიკური ბედით და ბრძოლით საერთო მტრის წინააღმდეგ, — სულითა და გულითა ვართ მის პოლიტიკურ, და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მის პატრიოტებთან.

აქაც, საზღვარგარედ, და იქაც, დატანჯულ სამშობლოში, კავკასიელ პატრიოტთა გული თანაბრად სძვრს უკრაინის დამოუკიდებლობისათვის რაინდ მებრძოლებთან ერთად.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ საბჭოთა რუსეთის ეხლანდელ შინაგან პირობათა და საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვითაც, ბრძოლას უკრაინის განსათავისუფლებლად, — მოსდევს ბრძოლა კავკასიის განთავისუფლებისათვისაც...

მაგრამ უკრაინასთან ჩვენ გვაკავშირებს უფრო მჭიდრო გეოგრაფიული და პოლიტიკური საფუძვლები: დამოუკიდებელი უკრაინა — არა მარტო პირობაა ჩვენი საკუთარი დამოუკიდებლობისა, არამედ უდიდესი გარანტიაც კავკასიის სახელმწიფოს სიმტკიცისა და უზრუნველყოფისა მომავალში.

მორალური დუგმა - კავშირნი უკრაინისა და კავკასიის, ერთა საპყრობილეში, რომელსაც ერქვა რუსეთის იმპერია, და სისხლიან წამების საკანში, ეხლა რომ ანონიმურ ს.ს.ს.რ.-ის სახელს ატარებს — ეს კავშირნი ვერ შესუსტდებიან; მხოლოდ გამრავლდებიან და გამაგრდებიან უფრო. ამ ორი ქვეყნის უმაღლესი ინტერესები, მოსკოვის უღლის განთავისუფლების შემდეგ უფრო მეტად გვიკარნახებს — პოლიტიკურ მჭიდრო თანამშრომლობასა და მეგობრობას...

ამიტომ ჩვენ საჭიროდა ვთვლით ვაცნობოთ ყველა დაინტერესებულ ქვეყანათა საზოგადოებრივ აზრს, რომ, — რა ფორმაცა და ზომაც უნდა მიიღოს უკრაინელთა ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის, ეს საღვთო ბრძოლა იპოვის უდიდეს თანაგრძნობასა და აქტიურ დახმარებას, თავისუფლების მოყვარულ ყველა კავკასიელ ერისას.

ამ ბრძოლას გამოეხმაურება საზღვარგარეთული ჩვენი პრესა და პოლიტიკური ორგანიზაციები და, როცა დადგება დრო, — დარწმუნებულნი ვართ — ადგილობრივაც...

**

არსებობენ — ხელმძღვანელნი, მატარებელი იდეები, რომელთა წინააღმდეგ უძლურია ყოველნაირი ხრიკები დიპლომატიურ კანცელარიებისა, რთული პოლიტიკური თუ სტრატეგიული კომბინაციებისა უდიდესი სახელმწიფოებისაც კი.

ჩვენი თაობის ერთ-ერთ ასეთ მატარებელ იდეად აღმოჩნდა ლოზუნგი: „ერთა თვითგამორკვევის უფლება“.

გადმოსროლილი ომის დროს და ომის საჭიროებისათვის, ეს იდეა იმდენად შეგუებული აღმოჩნდა ერთა თვითშეგნებასთან, რომ მთელი მოაზროვნე კაცობრიობისათვის, ნაომარს, მან ზნეობრივი მრწამსის სიმტკიცე მიიღო. მოვიგონოთ შთაბეჭდილება მსოფლიოში ვილსონის 14 მუხლისა.

სისხლისაგან დაცლილმა, ბლოკადით ამოწურულმა გერმანიამ დაიჩოქა არა იმდენად მოწინააღმდეგეთა ძალის წინაშე, რამდენადაც შეერთებულ შტატების თავმჯდომარის მაღალხარისხოვან ჰუმანიტარულ დეკლარაციის წინაშე.

მართალია, ზავის კონფერენციაზედ თავმოყრილ გამარჯვებულთ ბოროტად შეასხვაფერეს „ამერიკული მუხლები“ ყველა დამარცხებულის საწინააღმდეგოდ, მაგრამ თვით იდეა იმდენად მიმზიდველი იყო კაცობრიობის სინიდისისათვის, რომ საჭეთ-მპყრობელნი იძულებულნი იყვნენ მასთან შეგუებული... სახელები მაინც გამოენახათ, ძალადობის უსამართლობისათვის.

ასე, მაგალითად, ავსტრიელ გერმანელებისათვის აკრძალვა შეერთებისა თავის მოძმეებთან, წარმოდგენილი იყო, როგორც — ავსტრიის რესპუბლიკის „თვითგამორკვევის“ უფლება.

ჩეხო-სლოვაკიის „თვითგამორკვევის“ სახელით, ძალით, და მათი სურვილის წინააღმდეგ, ახალ რესპუბლიკას მიაკერეს სუდეთ-გერმანელები, და, უნგრეთის ცოცხალი სხეულის გადაჭრით — მილიონი უნგრელიც.

ასეთი და ბევრი ამნაირივე უსამართლო და ყალბ, აუტანელ ზნეობრივ ნიადაგზე დამყარებული ხელშეკრულობა, — ბუნებრივად ამაფეთქებელ მასალად გადაიქცა შუა ევროპაში... რაც გამოასწორა მარტისა და ენკენისთვის ამბებმა.

სანამ ასეთ მახინჯ მდგომარეობას სდარაჯობდა ძალა და ეფარებოდა ერთა ლიგის მოჩვენებითი სამართლიანობა, დაჩაგრულ ერთა უმწეო მდგომარეობისადმი ყურადღების მიქცევა ევროპის პოლიტიკურ ოლიმპის ღმერთებისა — ამოც ცდა იყო. იქ მეფობდნენ განუკითხავად — ბენეშები, ტიტულესკოები და ვილაჯ-ვილაჯ ლიტვინოვები...

საჭირო გახდა ღრმა ძვრათა რიგი ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში; თავბრუდამხვევი გაძლიერება გერმანიისა, რომელსაც მისმა გენიალურმა ბელადმა მოუპოვა კუთვნილი ადგილი; საჭირო გახდა ახალი პოლიტიკური გეომეტრია: ბერლინ-რომის ღერძი, ღერძი ბერლინ-ტოკიო, სამკუთხედი ტოკიო-რომი-ბერლინი, რომ 1919 წლის ხელშეკრულობათა რევიზია, პლატონიურ სურვილთა ფარგლებიდან გადასულიყო რეალური ფაქტების სფეროში.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ავსტრიის შეერთება გერმანიასთან უსისხლოდ — 12 მარტს — ან ჩეხო-სლოვაკიის დანაწილება 30 ენკენისთვის სხდომაზედ მიუნხენში, უდიდეს 4 სა-

ხელმწიფოთა წარმომადგენელთაგან, — გვეფიქრა, რომ ეს დიდი ისტორიული მოვლენები, შედეგია მხოლოდ ძალთა შედარებითი დემონსტრაციისა.

ეს თვალსაჩინო დატები, უპირველეს ყოვლისა მაჩვენებელია სულის გამარჯვებისა ძალადობაზედ, რადგან ამან მოიტანა გასწორება საერთაშორისო უსამართლობისა, რომლის წინააღმდეგნი იყვნენ იმ სახელმწიფოთა საუკეთესო წარმომადგენელნიც, ვის სასარგებლოდაც მოხდა ასეთი უსამართლობა...

ბედის ირონიით ისე მოხდა, რომ სწორედ გერმანია გამოვიდა იმ ზნეობრივი პრინციპების დამცველად, რომელიც თავის დროზედ გამოაცხადეს... სხვა სახელმწიფოებმა.

ამიტომ თუ ამოისუნთქა თავისუფლად საფრანგეთმა, როცა განიბნა საშიშროება ომისა ენკენისთვეში? მორალურად გაუმართლებელი ომი, ისეთი მაღალი კულტურის ერისათვის, როგორიც არის საფრანგეთი — მძიმე ასატანი იქნებოდა.

**
*

მიუნხენის სულმა, შექრილმა ევროპის დახუთულ ჰაერში, საბჭოთა კავშირის დაჩაგრულ ყველა ერის იმედები გამოაღვიძა. ჩეხოსლოვაკიის დაყოფას ერთა თვითგამორკვევის პრინციპით, აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა უკრაინის საკითხის დაყენება. და არა იმიტომ, რომ ჩეხოსლოვაკიაში იყო მოქცეული კარპატების უკრაინა, არამედ იმიტომ, რომ ეროვნული პრინციპი, საფუძვლად დადებული ევროპის ახალ აღმშენებლობაში — უნივერსალურია. უკრაინის პრობლემის მოგვარების შემდეგ, ლოლიკურად სდგება ეროვნული პრობლემა აღმოსავლეთ ევროპისა და აზიისათვის.

ფორმალურად პატარა კარპატის უკრაინაში აღძრული საკითხი, არსებითად და ფართოდ აყენებს ეროვნებათა სკითხს საბჭოთა რუსეთში და გლოვის ზარად გაისმის მოსკოვისათვის...

გეოგრაფიის ლოლიკის მიხედვით, რიგშია ჩამდგარი — დიდი უკრაინის საკითხი. მსოფლიოს ყურადღება ბუნებრივად აქეთაა. მორალური უფლება უკრაინისა უდაოა. მრავალმილიონიანი უკრაინელი ხალხი მწვავედა გრძნობს თავის სხვაობას სლავიანურ ზღვაში. ისტორიულ ბრძოლებში მან გამოსჭედა თავისი ეროვნული სული და ენა, კულტურა და თავისებურობა. ვერავენ უარჰყოფს მის უფლებას ეროვნულ სახელმწიფოებრივობაზედ, როცა აღიარებულია ასეთი უფლება. ჩეხოსლოვაკიისა, პოლონეთისა და იუგოსლავიისა.

ამას შეიძლება შეუშალოს ხელი მხოლოდ ძალადობამ.

აღმოაჩინდება უკრაინელ ხალხს შინაგანი ძალა და საგარეო მოკავშირენი რომ განახორციელოს თავისი უფლება? საკითხი ამაშია. ნუ დავხუჭავთ თვალებს იმ სიძნელეებზედ, რომელნიც შეხვდება უკრაინელ პატრიოტებს, ვიდრე მიაღწევდნენ საწადელს.

აღდგომა უკრაინელი ხალხისა, შექმნა დიდი უკრაინული სახელმწიფოსი ისე ადვილად და უმტკივნეულოდ არ მოხდება, როგორც ჩეხო-სლოვაკიის გაყოფა. უკრაინის პრობლემა დაკავშირებულია არა მარტო საბჭოთა რუსეთის დაყოფასთან, არამედ რუმინიისა და მეტადრე პოლონეთის ინტერესებთან. ამ სახელმწიფოთაც ექნება სათქმელი სიტყვა და კიდევ იტყვიან, ალბად... უკრაინის გარშემო უკვე დაწყებულია რთული და სახიფათო დიპლომატიური თამაში.

ზოგთათვის, როგორც, მაგალითად, საბჭოთა რუსეთისათვის — ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. მოსკოვი, რასაკვირველია ოცნებობს ძირშივე ჩაჰკლას ყოველივე მისწრაფება უკრაინისა დამოუკიდებლობისაკენ. სხვებს უნდათ, თუ კიდევ შესაძლებელია, განსაზღვრონ და თავის კონტროლის კალაპოტში ჩააყენონ...

არ უნდა გავაზვიადოთ ზოგიერთი უკანასკნელი დღეების დიპლომატიური დემონსტრაცია, მაგრამ არც უნდა შევამციროთ მათი მნიშვნელობა და მოსალოდნელი გართულება... რაიც არა მარტო უკრაინისათვის შეიძლება აღმოჩნდეს საშიშო. მაგრამ ამაზედ შემდეგ.

ჰაილარ ბამატი

კ ა უ ც კ ი , მ ა რ ჯ ნ ი ზ მ ი და მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი

ვის არ ახსოვს ჩვენებურ პოლიტიკურ დისკუსიებში მენშევიკების მიერ ხშირად და ქართულ აუდიტორიის აბუჩად ასაგდებად ხმარებული სიტყვები: „კაუცკმა თქვა“-ო! „კაუცკმა თქვა“-ო, ნიშნავდა „მორჩა და გათავდას“! კაუცკის ნაწერებიდან მოყვანილი უთაებოლო და გაუგებარი ციტატა, სადავო საკითხს უცბადა სჭრიდა და „გამარჯვებას“ მენშევიკს ანიჭებდა. ქართული მენშევიზმი იმ რეგვენ და უსულ-გულო ციტატებზედ გაიზარდა და გასივდა, რომლის ფასი დღეს გროშია.

არც ეს „კაუცკმა თქვა“ იყო სწორი ქართული. ვინაიდან მენშევიზმი ჩვენში უკვდავებას აპირებს, იქნება მისი ახალი თაობისათვის მაინც იყოს საყურადღებო, თუ როგორ უნდა ისეთი უცხო და ქართული სმენისათვის უშნო გვარის ბრუნება, როგორც ჩვენში ეს ყბად აღებული კაუცკის თუ კაუწკის (ასეც ამბობდნენ!) გვარი იყო?

სულ უპრეტენზიო და პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა ამ უცხო სიტყვას ასე იტყოდა: კაუცკი, კაუცკისა, კაუცკის, კაუცკიმ („თქვა“), კაუცკით, კაუცკიზედ და დასასრულ მოწოდებითი ბრუნვა, ვსთქვათ ასე: „ჰოი, კაუცკიო, მე შენს პრაგრამას კი. რა უთხრა“-ო და სხვ.

ასე უნდოდა, სულ მცირე ქართული გრამატიკით მაინც ამ გვა-



რის ქართულად ბრუნება, თუ კი კაუცკის გვარის ხმარება ჩვენს სოფლებში, საზოგადოთ, ასე აუცილებელი იყო. მაგრამ მაშინ, როცა მენშევიზმი ჩვენში ყოველგვარ ქართულ კანონიერებას სდევნიდა, იმისი ფიქრი, რომ მენშევიზმი ქართული ენის კანონებს მაინც დაინდობდა, ამას იყო. პირიქით, მენშევიზმის ჩვენს ცხოვრებაში შემოჭრის დროს, ყველაზედ ადრე, სწორედ ჩვენი დიდება ქართული ენა უნდა გაგაღულიყო, რადგან, ერის ნამდვილი წახდენა, მენშევიზმის მიერ დასახული, სწორედ აქედან იწყება. ტყუილად ხომ არა სთქვა გრიგოლ ორბელიანმა:

„რა ენა წარხდეს, ერიც დაეცეს, მოეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!“-ო. ეხლა, როცა ეს კუკნა კაცი კარლო კაუცკი ცოცხალი აღარ არის და მარქსიზმის მათუსალამ, მართლა თქვენი ჭირი წაიღო, მენშევიკებს ისევ შეუძლიანთ სთქვან, რომ „კაუცკმა მოკვდა“-ო. კარგი ქართული არც ეს იქნება. მაგრამ ჯანი გავარდეს ამ კარგ ქართულს, თუ კაუცკი ერთხელაც არის მოკვდა და თუ მენშევიკები ეხლა მაინც ველარ მოიყვანენ იმის ციტატას, ვინაიდან, თითონაც მოგეხსენებათ, მკვდარ კაცს ციტატა ველარ გააცოცხლებს!...

მაგრამ განა ჩვენებურ მენშევიკებს თავდებად ვინმე დაუდგება?! კაუცკი მოკვდა, მაგრამ მენშევიკებს ციტატა მაინც მოჰყავთ: — უნდა გენახათ სურათი, კაუცკი კვდებოდა და წინ სულ საქართველო ედგაო, — ბრძანებენ გულ აჩუყებული დ თვალ-ცრემლიანი მენშევიკები!

ამ რიგად მთელი ჩვენი ორმოცი წლის დისკუსია მენშევიზმთან ისევ წაგებულია და მარქსიზმი „გამარჯვებული“, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, თუ მენშევიკებს დაუჯერებთ, კაუცკის, სიკვდილის წინ, სიზმარში, საქართველო უნახავს!

ორი მენშევიკური გაზეთი: „დამოუკიდებელი საქართველო“ და „ბრძოლის ხმა“ ერთმანეთს ეცილება, „მეცნიერ-პუბლიცისტზედ“ ნეკროლოგების, წერილების, სურათების, სამძიმრების, ვაისა და ვიშის ბეჭდვაში და ტყუილების თქმაში, თითქოს კაუცკი თავის პატრონს კი არ მოჰკვდომოდეს, არამედ საქართველოს.

„ჩვენი მთავრობის წევრებმა და ყოფილმა ელჩმა ქ-ნ ლ. კაუცკის, მთელი ქართველი ერის სახელით, სათითაოდ სამძიმრის დებეშა გაუგზავნეს“-ო, ბრძანებს „დამოუკიდებელი საქართველო“! „ქართველს. დ. წარმომადგენელი ინტერნაციონალში“, რომ აგრეთვე „პირადათ“ დაესწრებოდა მიცვალებულის დაკრძალვას, ამაზედ ხომ ლაპარაკიც მეტია. ამ რიგად მენშევიკებმა კაუცკი ქართველი ერის მიცვალებულად გამოაცხადეს და მის კუბოს საქართველოს დროშა გადააფარეს!

რა დებეშაც არ უნდა უგზავნოს ბ-ნმა ჩხენკელმა კაუცკის ჭირისუფლებს, მე, როგორც ქართველმა კაცმა უნდა განვაცხადო და ამაში ბევრი ქართველი დამიჭერს მხარს, რომ მისი დებეშა მარქსიზმის ბასტი-ბუბუ თეორეტიკოსის დამარხვაზედ გაგზავნილი, „მთელი ქართველი ერის“ დებეშა ვერასოდეს ვერ იქნება და მთელი ეს მეტიჩარა და დიდათ აღმაშფოთებელი ამბავი, ისე შევა ქართველი ემიგრაციის ის-

ტორიაში, როგორც ქართველი მენშევიკების კიდევ ერთი უჭკუო, ბრიყული და მატყუარა საქციელი. ეს საქციელი არაფრით განირჩევა იმ შემაძრწუნებელ სიცრუისაგან, როცა იგივე ბ. ჩხენკელი ერთ თავის მემორანდუმში, და ისიც ფაშისტურ იტალიის მთავრობას წარბეჭეუხრელად ატყუებდა, რომ ერთად ერთი ეროვნული პარტია საქართველოში მენშევიკური პარტია არისო!

ყველასათვის ცხადია, რომ „მთელი ქართველი ერი“ კაუცკის ასეთ დებეშას ვერ გაუგზავნიდა, რადგან კაუცკი მარქსისტი იყო და თუ დღეს ქართველ ერს რამე სტკივა, ყველაფერი მარქსიზმისაგან სტკივა. ჯერ მენშევიკურმა მარქსიზმა მოსწამლა და ამოშალა საქართველო, მერე ბოლშევიკურმა მარქსიზმმა აუგო წესი.

კაუცკი იყო ის მენშევიკი და მარქსისტი, რომლის აზრებით ქართველი მენშევიკები ორმოცი წელიწადი სწამლავდნენ და დღესაც სწამლავენ ქართველების შეუგნებელ ნაწილს.

ჩვენში რომ „კლასთა ბრძოლა“ არა თუ საჭირო იყო, არამედ შესაძლებელიც გახდა და ქართველს ქართველი უნდა მოეკლა (მაგალითად: გაბრიყვებულ საგურამოელ გლეხებს ილია ჭავჭავაძე!), ასეთი სოციალური „პროგრესი“ კაუცკის შეგირდების მიერ იყო ნაქადაგები. ერთ დროს რომ მენშევიკები ქართველ გლეხებს და მუშებს ავტონომიის წინააღმდეგ ამხედრებდნენ, ესეც კაუცკის აზრების ქადაგების ნაყოფი იყო. ჩვენს დროსაც რომ ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა ისე უცბად აშრა, როგორც შრება ცუდი ღირსების სურნელება, ესეც იმავე კაუცკის ბრალი იყო, ვინაიდან სწორედ კაუცკი და სხვა მილეთის კაუცკეები აქეზებდნენ ჟორდანის მთავრობას, რომ მას ჩვენში „სოციალისტობანა“ ეთამაშა და ქვეყანა კლდეზედ გადაეჩეხა.

ეხლაც საკმარისი იყო მარქსისტი და სოციალ-დემოკრატი კაუცკი მიცვლილიყო, რომ მენშევიკებს თავის ყალბი პატრიოტობა და ისედაც ცრუ ქართველობა იქით გადაედოთ და თავისი ნამდვილი მარქსისტული და „კაუცკური“ სახე გამოეჩინათ.

თვრამეტი წელიწადია ქართველობა ემიგრაციაში სცხოვრობს, თვრამეტი წელიწადია საქართველოს ენით გამოუთქმელი გასაჭირი ადგას, ათასი კაცი მოუკვდა, ათასობით კაცი მოუკლეს (რა იყო ამათთან შედარებით გადაბეხრეკებული და გამოჩერჩეტებული კაუცკი?!) და ვერვინ მოიგონებს, რომ რომელიმე ქართული საბაბის გამო მენშევიკებს ისეთი ერთსულოვანი მანიფესტაცია მოეხდინოთ, როგორც საქართველოსათვის სრულიად უცხო და ყოვლად მავნე მარქსისტის კაუცკის სიკვდილის გამო.

იქნება მე ვცდები და მენშევიკებს შეუძლიანთ მითხრან, რომ ასე მოიქცნენ ისინი, მაგალითად, ჩვენს უბედურ დროში ნაცხოვრებ დიდი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის სიკვდილის გამო, ასე მოიქცნენ ჩვენი ეროვნული გმირის ქ. ჩოლოყაშვილის სიკვდილის დღეებში, ან ასე მოიქცნენ ილია ჭავჭავაძის თუნდა დაბადების, თუნდა სიკვდილის დღის აღსანიშნავად?! ყველამ ვნახეთ რა ცარიელები იყვნენ



მაშინ მათი გაზეთები და, პირიქით, რამდენი გამოიჩინეს მათ პარტიული და „კლასობრივი“ სულ-მდაბლობა ილია ჭავჭავაძის მიმართ. ასე ექცეოდნენ ისინი ჩვენ ქართველ მკვდრებს მაშინ, უწინ, ყოველთვის.

მაგრამ მოკვდა კაუცკი და მენშევიკები არა თუ მარტო თითონ მისტირიან თავის იდეურ მეთაურს, არამედ მათი ცინიზმი იქამდის მიდის, რომ თუ წმინდანებში არა, რადგან მენშევიკებს ღმერთი და წმინდანი არა სწამთ, ლამის არის თავისი მიცვალებული საქართველოს ისტორიაში ჩაუწერონ. მერე რისთვის? განა ასე უყვარს ქართველ ერს მარქსიზმი, განა ისე უყვარდა კაუცკის ქართველი ერი, რომ ასე ჩაჰყვეს მას კუბოში?!

კაუცკი იყო ისეთი ჭკუის კაცი, რომ პატარა მაგრამ ძველი ქართველი ერის გუმანს, რომელმაც თავისი მუჭა ქართული სისხლი წარღვნებში გამოატარა, ვერასოდეს ვერ გაიგებდა, ვერასოდეს ვერ მიხვდებოდა. ის იყო კაცი და ბუნება, შემთხვევათაგან ისე ხელოვნურად შეთითხნილი, რომ მას არ შეეძლო არავისი ერის შეიღობა და, როგორც გვარტომობით დასჯილი კაცი, მხოლოდ მარქსისტი და ინტერნაციონალისტი უნდა ყოფილიყო. კაცმა რომ კაუცკის მეტრიკული მოწმობა დასწეროს, ცხრა ერისა და ცხრა სახელმწიფოს კონსისტორია უნდა მოიაროს და ესეც ცოტა იქნება, რადგან თითონ კაუცკი სხვა, მეათე, ფანტასტიურ სახელმწიფოზედ ოცნებობდა. მამა ჩეხი ჰყავდა, დედა - გერმანელი, ბებია მამით პოლონელი, ხოლო „დედის ბებია დედით“ — როგორც ამას „ბრძოლის ხმა“ ასე დალაგებით იკვლევს — უნგრელი, და ესეც სრული არ არის, რადგან გაზეთი განზრახ ივიწყებს, რომ კაუცკის ცოლიც ებრაელი ჰყავდა. შეეძლო განა ასეთ მრავალ-წახნაგოვან ჰიბრიდს ვისიმე, ან კერძოდ ქართველი ერის იდეით გამსჭვალვა, მათი თანაგრძნობა, ვისაც ჩვენი ცხრა მდინარის, ჩვენი ხუთი ველის, ჩვენი ათი მთის, ჩვენი ეკლესიების, ჩვენი რუსთაველის, ჩვენი ვენახების, ჩვენი ყანების, ჩვენი „დედა ქართლისა თამარის“ და ჩვენი ქოხების დაცვა გვინდა, სადაც მარტო ცხრა პროლეტარი იყო და როდესაც, ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, ყველა ისინი მინისტრებად წავიდნენ, ველარც მატარებელი გავატარეთ, ველარც ტრამვაი წავიყვანეთ... შეეძლო კაუცკის განა ყველა ამის გაგება? რა რეგვენობაა, რა სისულელეა — მენშევიკური, ჩხენკელისებური, გვარჯალაძისებური!...

კაუცკის სიკვდილით არაფელი დაუკარგავს არა მარტო საქართველოს, კაუცკის სიკვდილი დიდი უბედურება არ არის თვით მარქსიზმისათვისაც, რადგან მარქსიზმი კაუცკიზედ ადრე მოკვდა. ის გათახსირდა რუსეთში, ის გათახსირდა საქართველოში, ის მოკვდა იტალიაში, ის მოკვდა გერმანიაში, უნგრეთში, და სხვა ერებში. კაუცკის სიკვდილი მხოლოდ იმ სრული გაკოტრების ეპილოგია, რომელიც მარქსიზმმა ამ ოცი წლის ეროვნულ რევოლუციებში განიცადა. ახალი, ჯანსაღი და მომავლის იმედებით აღსავსე ეროვნული მოძრაობა ევროპაში დღეს ფაშიზმია და არა კაუცკის, ჟორდანიების და ჩხენკელების მარქსიზმი. მაგრამ არის ცუდლუტი ხალხი, რომელიც ჩვენ

ისევ მარქსიზმს გვაჩეჩებს ხელში და ჩვენი მოტყუილება იმ იაფ-ფასიანი სენტიმენტალობითა სურს, რომ როგორც ითქვა, კაუცკი თურმე სიკვდილის წინ საქართველოზედ ბოდავდა.

მკითხველი ქვევით ამოიკითხავს, რომ კაუცკის გრძნობა საქართველოსადმი ყალბი იყო სიცოცხლეში და უბრალო გალუცინაცია სიკვდილის წინ, თუ ეს გალუცინაციის ამბავიც, „გრძნობიერი“ ხალხის გასასულელებლად, თვით მენშევიკების მიერ არ არის მოგონილი. თუ კაუცკის საქართველოსთან კიდევ რაიმე აერთებდა, ეს იყო მისთვის ის ფატალური ამბავი, რომ მისი ლტოლვა ერთის „დემოკრატიისაგან“ მეორისაკენ, მარქსიზმის კრახებით გამოწვეული, რამაც ბოლო წლებში პირდაპირ ეპიდემიური ხასიათი მიიღო, — საქართველოდგან დაიწყო.

პირველი მარქსისტული ქვეყანა, საიდგანაც, წინასწარ გაფრთხილებული კაუცკი დროზედ გაიქცა, ჟორდანის „გლებთა რესპუბლიკა“ იყო. თქვენ კაუცკის კულტურული გემო ნახეთ, რომ ძველთაგან არისტოკრატიულ და მეფეთა საქართველოს, ამაზედ უფრო შინაარსიანი სახელი ვერ უწოდა. თითქოს საქართველო ლაპლანდია იყოს! მაგრამ ასე იყო თუ ისე, ერთი თვის შემდეგ „გლებთა რესპუბლიკა“ ეხლა მარქსისტულმა „მუშურ-გლებურმა“ ბოლშევიზმმა დაიპყრო.... კაუცკი გერმანიაში დაბრუნდა, მაგრამ უნდა გაქცეულიყო იქიდგანაც, რადგან მარქსისტული გერმანია ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტურმა გერმანიამ შესცვალა. კაუცკი „მფრინავი მარქსისტი“ გახდა და გერმანიიდგანაც ავსტრიაში გადაფრინდა. მაგრამ უნდა გაქცეულიყო ავსტრიიდგანაც, რადგან მარქსისტებისაგან გავერანებული ავსტრია ეროვნულმა გერმანიამ შეიერთა. კაუცკიმ ბენეშის არა ნაკლებ მარქსისტულ ჩეხოსლოვაკიას მიაშურა, სადაც მეორე და მესამე ინტერნაციონალები ომის კოცონის დანთებას აპირებდნენ.

ეხლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარქსიზმის უყუათო თეორეტიკოსი დიდი ნავსი კაცი იყო და სადაც მივიდა, მარქსიზმმა ყველგან თავი ჩაჰქინდრა.

როცა ჰიტლერის მიერ წამოყენებულმა ერთა თვით-გამორკვევის პრინციპმა ბენეშის „ჩეხო-სლოვაკია“ რიგიან ქვეყანად აქცია, კაუცკი უნდა გასცლოდა ჩეხოსლოვაკიასაც. კაუცკი ჰოლანდიაში მივიდა და ამსტერდამის ინტერნაციონალის სტუმარი გახდა.

ის მოკვდა ამსტერდამში, მიუნხენის შესანიშნავ კონფერენციის შემდეგ, სწორედ მაშინ, როცა ევროპა გადარჩა ომს, რომელშიაც მსოფლიო მარქსიზმს ხელი უნდა მოეთბო. განა აღსანიშნავი არ არის ის უზარმაზარი ცვლილება, რომ გერმანიაში, სადაც არსებობდა და მოღვაწეობდა მსოფლიოში უძლიერესი სოციალ-დემოკრატიული პარტია, გერმანიის ეროვნულმა პრესამ კაუცკის სიკვდილი „პეტიტშიაც“ არ მოიხსენა. ეს მოხდა იმ ქვეყანაში, სადაც, სულ ხუთი წლის წინად, ქვეყნის მართვა-გამგეობა მარქსისტების ხელში იყო.

მეორე ინტერნაციონალის ეკზეკუტივი, რომელიც დღეს, უმთავ-

რესად, სხვა და სხვა ქვეყნებიდან გამოძევებულ მარქსისტულ პარტი-ათა დელეგატებისაგან შესდგება (ჩვენი კუდა-მენშევიკებიც იქ იმყოფებიან!) მაინც მივიდა ამსტერდამში, რათა თავისი პატრიარქის ნეშტის წინაშე თავი მოეხარა. მაგრამ შეცვლილი და აბუჩად აგდებული გამოდგა ეს ეკზეკუტივიც. „დემოკრატიულმა“ ჰოლანდიამ მეორე ინტერნაციონალის დელეგატებს ნება არ მისცა, თავის „დაუფიწყარ“ მასწავლებლისათვის გამოსამშვიდობებელი სიტყვა ეთქვათ. მარქსიზმი ყველგან მიუღებელი გახდა. კაუცკის დასაფლავება მარქსიზმის დასაფლავება იყო.

დასასრულ, „შეცვლილი“ მოკვდა თვით კაუცკიც, რამდენადაც ჩვენი მენშევიკები ამტკიცებენ, ვითომც მარქსიზმის ბასტი-ბუბუ იდეოლოგი საქართველოს დამოუკიდებლობის დიდი მომხრე და ქომაგი იყო.


კაუცკი ჩამოვიდა საქართველოში რათა ენახა თუ როგორ ქმნიდნენ მისი ქართველი შეგირდები „დემოკრატის“ და არა ეროვნულ სახელმწიფოს. როცა ჟორდანიას შესანიშნავმა დემოკრატიზმმა საქართველოს სახელმწიფოს სული ამოაძრო, გადაქრილ აზრს დაადგა ჟორდანიას მასწავლებელიც. კაუცკი სწორედ საქართველოში დარწმუნდა, რომ მარქსისტულ დემოკრატის ეროვნულ სახელმწიფოს შექმნა არ შესძლებია. მაგრამ რადგანაც იგი მარქსისტულ დემოკრატიაზედ ხელს ვერ აიღებდა — ხელი აიღო ეროვნულ სახელმწიფოზედ.

ეს იყო მიზეზი, რომ შედარებით ცოტა უფრო გვიან, ერთ-ერთ თავის, მარქსისტულად უთაებლო წერილში კაუცკი ამბობს: ვიდრე ჩვენი ქართველი მეგობრები (იგულისხმე ქართველი მენშევიკები!) გადასწყვეტდნენ რუსეთისაგან საბოლოოდ გამოყოფის საკითხს, კარგს იზავენ ამაზედ ბევრი იფიქრონო...

ესე იგი, ბ. ჩხენკელისაგან „მთელი ქართველი ერის სახელით“ გაპატიოსნებული კაუცკი საქართველოს რუსეთის ფარგლებში დარჩენას ურჩევდა. „გლახთა რესპუბლიკა“ მისთვის მეტის ღირსი არ იყო.

ასეთი იყო კაუცკი, ასეთია მარქსიზმი და განსაკუთრებით ასეთები არიან ქართველი მენშევიკები. უძალლო ქვეყანაში უჯობო დაიარებიან. ესე იგი ძაღლები იქნება კიდევაც არიან, ოღონდ ისინი მთვარეს უყეფენ..... მკითხველო, შენ განიხილე!

შ. ამირეჯიბი



იძულებითი პასუხი

ცოტა დაგვიანებით მაჩვენეს მეგობრებმა „ბრძოლის ხმის“ № 4 (83) და წერილი „26 მაისის ირგვლივ“.

ეს წერილი დამახასიათებელია იმ წრისა, რომელსაც დამწერი ეკუთვნის, მაჩვენებელია მათი აზროვნებისა და სიმპტომატიურიც — დამალონებელი კილოთი.

ეს გახლავთ მენშევიკური პასუხი ბ. შ. ამირეჯიბის წერილზედ: „მათი ოცი წელი“. რითი გასცემს პასუხს ბ. ამირეჯიბი ამ წერილის „ფილოსოფიურ“ შნაარსსა, არ ვიცი და მე კი ვალდებულადა ვსთვლი ჩემ თავს პასუხი გავცე მხოლოდ მის (სამხედრო) ნაწილს და ისიც იმიტომ, რომ ავტორი, ყოფილი მინისტრი, და, თავის წრეში, ალბად, ავტორიტეტია.

ავტორი ეხება საქართველოს დაცემის მიზეზს და ამბობს:

„მოვა დრო, როცა თვითეული ჩვენთაგანი, დიდი და პატარა, პასუხს აგებს თავის მოღვაწეობისათვის, როგორც იქ — საქართველოში, თავისუფლების დროს, ისე აქაც — ემიგრაციაში. მანამდე კი ჩვენ ვიტყვი — ან ტუტ კონესანს დე ლა კოზ, — რომ საქართველოს ბედი არსებითად გადაწყდა არა 1921 წელს, არამედ მაშინ, როცა საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის გამო, დაისახა რუსეთ - ოსმალეთის კოორდინაციის პროექტი; ამ ორ სახელმწიფოთა გაერთიანებული ფრონტი კავკასიის ბარიერის მოშლას მოითხოვდა.

დროებით, ამ ფაქტორის გაძლიერებამდე, შემთხვევით, საქართველოს შეეძლო გადარჩენა. ასეთი შემთხვევა მას 1921 წ. თბილისის, სამხედრო თვალსაზრისით გაუმართლებელმა, სამარცხვინო დატოვებამ ქართველებს დაუკარგა...“

პირველ ყოვლისა, თვალში გეცემათ ის უნუგეშობა და პესიმიზმი, რომელიც არ შეეფერება ერთ-ერთ ყოფილ მინისტრს, ერთ-ერთ მეთაურს ქართველი ერისა, როგორც ხშირად ეძახიან თავიანთ თავს ამ პარტიის, ამ მთავრობის, ამ წრის წარმომადგენელი.

მაშ საქართველოს შეეძლო გადარჩენა მხოლოდ შემთხვევით და ისიც მხოლოდ რუსეთისა და ოსმალეთის „გაძლიერებამდე“. ოსმალეთი ხომ, აშკარად, ეხლა ძალიან გაძლიერებულია, რისათვისაც, სხვათა შორის, ჩვენ მეთაურებსაც დიდი ამაგი აქვთ გაწეული (ყარსი, ართვინი, არტაანი, ბათუმი და სხვ.)

მეორე მხრით, როგორც არ უნდა დასუსტდეს რუსეთი, ჩვენთვის ყოველთვის მეტად ძლიერი იქნება. მაშ რაშია საქმე? რას ვეწვალე-ბით? ხომ თანახმად გამოთქმული აზრისა, ვერც საქართველო და ვერც კავკასიის „ბარიერი“ ვერ შესძლებს თავისუფლების გადარჩენას.



მე სულ სხვა აზრისა ვარ და ასეთ პესიმისტურ წარმოდგენაში ვერ დავეთანხმები ზემოაღნიშნულ წერილის ავტორს. მაგრამ ეს არის აზრი, რომელიც ვითომდა ხსნის ჩვენს დაცემას. როგორც აზრს, ადამიანმა შეიძლება პატივიც სცეს და კიდევ შეეკამათოს.

მაგრამ ამ აზრს თანა სდევს მეორე, რომელიც სრულებით აბათილებს ნათქვამს და ხსნის ჩვენს დაცემას სულ სხვა მიზეზით: საქართველოს გადარჩენა „1921 წელს, სამხედრო თვალსაზრისით გაუმართლებელმა სამარცხვინო დატოვებამ, ქართველობას დაუკარგა...“. აი რაშია საქმე. თურმე თბილისის დატოვებაში და არა რუსეთ-ოსმალეთის მიერ, მათ შუა აღმართულ „ბარიერის“ მოშლაში.

აქ, როგორც მკითხველი ხედავს, ორი, ერთმანეთის გამაბათილებელი, აზრია გამოთქმული: ერთი, რომ საქართველოს გადარჩენა ვერ შეეძლო, საერთაშორისო მდგომარეობის გამო, — ოსმალეთი და რუსეთი ამ „ბარიერის“ მოშლას ლამობდნენ. მეორე, — „თბილისის დატოვებამ“ შეგვიშალა ხელი, თორემ გადავრჩებოდით*).

ჩვენ გვახსოვს, დიდი ხანი არ არის, იმ წრემ, რომელსაც ავტორი ეკუთვნის, გამოაცხადა ჩვენი დაცემის მიზეზად ის გარემოება, რომ ჩვენ ინგლისმა გაგვიცადა, როდესაც ლოიდ-ჯორჯმა შეჰკრა სავაჭრო ხელშეკრულება კრასინთან.

ავტორს დაავიწყდა, ან ყურადღების მიქცევა აღარ უნდოდა არც „სან-რემო“-ზედ და არც „ან ტუტ პროპრიეტე“-სათვის. (იხ. ზ. ავალიშვილის წიგნი).

მაშ, შეიძლება ითქვას, რომ ამ „ბარიერის“ შემცირებაზე რუსეთი ფიქრობდა 1918 წელსაც, როცა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით უთმობდა ოსმალეთს — ყარსსა, არტაანსა და ბათომს, რათა მი-

*) სიტყვებს, „დროებითი“ და „გაძლიერებამდე“ არავითარი პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვთ, რადგან უკვე 1920 წ. რუსეთი იმდენად გაძლიერდა, რომ დაიპყრო ადერბეიჯანი და სომხეთი; რაც შეეხება სიტყვას „დროებითი“, — იგი, ჯერ ერთი, ბუნდოვანია: დროებითი, შეიძლება იყოს ორი კვირაც და 20 წელიწადიც. ამისთანა არსებობაზე ხომ არ გახლავთ ლაპარაკი, და, არც ამისთანა „დროებითი“ გადარჩენისათვის ცდილა და გაუნძრევია ხელი ჩვენს მეთაურობას, ხომა.

გარდა ამისა, დედა-ქალაქის დაცემა არ ნიშნავს სახელმწიფოს დაცემას: მარტო უკანასკნელ დიდ ომში იყო მაგალითები — ბრიუსელის, ბელგრადის, ბუხარესტის დაცემა და ამას არ გადაუჭრია ამ ქვეყნების საბოლოო ბედი; რადგან მათ ჰყავდათ მოკავშირეები, ჩვენ კი — არავინ. ეს იყო ერთ-ერთი „მიღწევა“ ჩვენი მთავრობისა. უკაცრავად, დამავიწყდა... მეორე ინტერნაციონალი.

უახლოვდეს ოსმალეთს?*) . შემდეგ რომ კავკასიის სახელმწიფოებმა განიცადეს ბოლშევიკური დაპყრობა იმავე მიზეზებით, რის გამო ბოლშეკები შეესივნენ ფინლანდიას, ბალტიის სახელმწიფოთ, პოლონეთს, უკრაინას... მაგრამ, ბევრ ქვეყანაში ამ ბოლშევიკურ ტალღას დახვდნენ მომზადებულნი და გადარჩნენ ისინი, ვისაც სათავეში არა ჰყავდათ ინტერნაციონალური სოციალისტები.

ჩვენი მეთაურობა კი მაშინაც ვერ მოვიდა გონსა, როცა ადერბეიჯანი და სომხეთიც დაეცა, და — არაფრით ემზადებოდა... გარდა ინტერნაციონალური ფანტაზიებისა.

ჩვენი დაცემის მიზეზებზე უცხოელ პრესაში ბევრია დაწერილი და ყველა (ერთხმად) აბრალებს ჩვენს მეთაურებს.

წაიკითხეთ, მაგ., წინასიტყვაობა, ფრანგულად, ბატონ რ. დიუგეს წიგნისა: „ლა ევორჟი მარტირ ე მოსკუ“, — პოლკ. სტოქსისა, ინგლისის კომისრისა ამიერ კავკასიაში.

ამაზედვე სწერს „გაზეტა პოლსკა“-ში ბ. ლინკევიჩი უკანასკნელ დროს — ჩვენი მეთაურების ბრალსა და ფანტაზიებზედ.

ეხლა თბილისის დატოვებაზედ.

მაგრამ სანამ ამაზედ გადავიდოდე, ერთ გარემოებას მინდა გავუსვა ხაზი. არ ვიცი რად დასჭირდა ავტორს ბ. ვ. ჯუღელის „ქება“, რომელსაც, არ შევედავები ავტორს, იგი ჩემზედ მეტს პატივსა სცემს: „ერთ დღეს, ფრონტიდან დაბრუნებული, თოფისწამალში გამურული, ტრიბუნაზე ავიდა...“

ნუ თუ ხუთი წუთი არა ჰქონდა განსვენებულს პირი დაებანა?

ჩვენ, მხედრები, კარგად ვიცნობთ ვ. ჯუღელს, მის ღირსებასა და ნაკლს; ის ეკუთვნის ისტორიას და ყველას შეუძლიან ილაპარაკოს მასზედ, როგორც ისტორიულ პიროვნებაზედ და კრიტიკაც გაუწიოს მის მოღვაწეობას. ავტორს ნებავდა ქების შესხმა, მაგრამ ვერ მიაღწია, რადგან... ორმოცი წელიწადია, რაც მსოფლიო ჯარებში ხმარობენ თოფის წამალს, რომელიც არა ბოლავს, სროლა სწარმოებს ვაზნებით და მე პირადათ, მაგ., ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს არც ერთი ჯარის კაცი თოფის წამალში გამურული.

ეს ცნობა მოვიყვანე მხოლოდ ავტორის სამხედრო საქმის ცოდნის საჩვენებლად, რადგან თბილისის დატოვება, — სამხედრო საქმის ასეთი მცოდნე ავტორის მიერ — დაწუნებულია „სამხედრო თვალსაზრისით“.

სამწუხაროდ, ამ „სამხედრო თვალსაზრისის“ დასაბუთება არ

*) რატომ მაშინვე არ შეუშალეთ ხელი ასეთ „მოშლას ბარიერისას“ და, პირიქით, სწორედ მინისტრ-ავტორმა შეუთვალა ბრესტ-ლიტოვსკში მიწვევაზედ: „ჩვენ რუსეთის ნაწილი ვართ და რუსეთის წარმომადგენლების საქმეა უცხო სახელმწიფოებთან (გერმანია და ოსმალეთი.) ხელშეკრულებათა დადება“-ო. (რედ.).



არის მოყვანილი და ცარიელი დასკვნების განცხადება ხომ ამ წრის ჩვეულებაა. მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ უსაბუთო განცხადებაში, ეს არის თბილისიდან დახევის დახასიათება — რვა დღის ბრძოლის შემდეგ — როგორც „სამარცხვინო დატოვებისა“.

ბელგიის ჯარმა დასტოვა ბრიუსელი სრულიად უბრძოლველად და იძულებული გახდა დაეთმო მტრისათვის თითქმის მთელი თავისი მიწა-წყალი, მაგრამ არც ერთ ბელგიელს არ მოსვლია თავში ამ დახევისათვის ეწოდებინა — სამარცხვინო.

სერბიელების ჯარმა დასტოვა მთელი ტერიტორია და გადავიდა უცხოეთში, არც ერთ სერბიელს არ უხმარია ჯარის მიმართ სიტყვა სამარცხვინო.

მსოფლიოში ამ ჯართა მოქმედებას უწოდებენ „გმირულს“.

ცნობად მოვაგონებ ავტორს, რომ საბერძნეთის ჯარი ორ წელიწადს ემზადებოდა ქემალ-ფაშას წინააღმდეგ და პირველივე ბრძოლის შემდეგ იძულებული იყო დაეხია ხმელთაშუა ზღვისაკენ და გაიარა 400 კილომეტრამდე ერთ კვირაში. და ჩვენმა ჯარმა 1921 წ. 16 თებრვლიდან, ე.ი. იმ დღიდან, რაც მე შეუდექი მეთაურობას, 18 მარტამდე, როცა ჩვენმა მთავრობამ შეჰკრა ზავი ბოლშევიკებთან, მაშასადამე, მთელი თვის განმავლობაში, დაიხია საჯავახომდე — 250 კილომეტრით. შეადარეთ და, თუ შეგიძლიან, იყავით სამართლიანი.

ავტორი თავის წერილში ბევრს ლაპარაკობს ჩვენს სიძულვილზე მათ წრისადმი.

რა გრძნობებით გატაცებულა თითონ, როცა თბილისიდან დახევას უწოდებს „სამარცხვინო დატოვებას“. ვის მიმართ გახლავს ეს ზიზღი ანდა სიძულვილი?

ქართველი ერის? ქართული ჯარის? თუ ვინმე ერთი პიროვნებაა გათვალისწინებული, ნუ თუ ეს დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი სიტყვა იხმარა ქართულ ლაშქრის მიმართ, ამ, თვისი ერის ღვიძლი შვილის მიმართ?

დაუბრუნდეთ თბილისის „დატოვებას“.

თბილისის დატოვება იყო გადაწყვეტილი ორჯერ ჩვენი ყოფილი მთავრობის მიერ და ეს უნდა სცოდნოდა მთავრობის წევრს.

ჯერ კიდევ 1920 წ. როდესაც ბოლშევიკებმა პირველად შემოუტყეს საქართველოს და გადმოლახეს ჩვენი საზღვრები წითელ ხიდთან (ძველებურად — გატეხილ ხიდთან).

აქ უნდა გაუსვა ხაზი იმ უცნაურ გარემოებას, რომ არც ერთ წიგნში ან წერილში, დაწერილში ანდა გამოცემულში ჩვენი ყოფილი მთავრობის ან მისი წრის მიერ, არსად არი აღწერილი ამბები ამ ომისა; ვითომც არა ყოფილა 1920 წ. ომი ბოლშევიკებთან. რაშია საქმე?

1919 წ. ჩვენ შევკარით სამხედრო კავშირი აღერბეიჯანთან და დიდი ზეიმით და ბანკეტით აღნიშნა მთავრობამ ეს ამბავი.

1920 წ. ერთი წლის შემდეგ, აპრილში, მე გახლდით გაგზავნილი ადერბეიჯანში ამ სამხედრო კავშირის გამოსაცოცხლებლად: გამოირკვა, მთელი წლის განმავლობაში ამ ორ სახელმწიფოს უწყებათა შორის იყო მხოლოდ ერთი სხდომა და ამ სხდომაზე არაფერი იყო თქმული სამხედრო მოქმედების შესახებ, ვინცობაა ბოლშევიკები დაესხნენ ამ სახელმწიფოებს. ვის ედება ამისი ბრალი?

1920 წ. ჩაბარებული მქონდა სამხედრო სკოლა და, რასაკვირველია, სრულებით არ ვიყავი გაცნობილი სახელმწიფოს დაცვის საქმეს. როცა ბოლშევიკები მოადგნენ წითელ ხიდს, მე დამნიშნეს მთავარსარდლად, მოვითხოვე სახელმწიფო დაცვის გეგმა. ჩვეულებრივად ამ გეგმას ამზადებენ ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს და ბუდამ, ომის დაწყებამდე, შეაქვთ ცვლილებანი, თანახმად პირობების შეცვლისა. ეს გეგმა არ აღმოჩნდა, სახელმწიფოს არსებობის ორი წლის შემდეგ. ვისი ბრალია? რასაკვირველია, იმ წრიდან გვეტყვიან, რომ, ყოველ შემთხვევაში, არა მთავრობისა. ამისთანა გეგმის შედგენა რთული საქმეა და ითხოვს ბევრ და ბევრს მუშაობას; მგონი ამის განმარტება ზედმეტია.

ამ მდგომარეობაში ჩავარდნილმა, მოვითხოვე მთავრობისაგან საქართველოს დაცვისათვის მოეცათ მთავარი დირექტივები მაინც (დედა-აზრები), მთავარი საფუძვლები ომის საწარმოებლად და განსაკუთრებით დაუსვი კითხვა: საქართველოს დაცვა თავდება თბილისში ანდა თბილისის მტრის მიერ აღების შემდეგ, თუ წინააღმდეგობა გრძელდება უკანასკნელ ზომამდე?

მთავრობამ სრულებით სამართლიანად დაადგინა, რომ თბილისის დაცვის შემდეგ ომი გრძელდება; ამ დადგენილებაში მიუღია მონაწილეობა ავტორსაც იმ წერილისა, რომელმაც გამოიწვია ეს ჩემი წერილი.

1920 წ. ამბები ისე დატრიალდა, რომ შევძელით შემოსეულ მტრის განდევნა ჩვენ მიწა-წყლიდან და მისი დევნაც დავიწყეთ, როცა ჩვენმა მთავრობამ შეჰსწყვიტა ომი და დაიწყო ზავის ჩამოგდება დამარცხებულ და დევნილ მტერთან. ესეთი გახლავთ ამბავი, როცა პირველად თბილისის „დატოვება“ იყო გადაწყვეტილი... მთავრობიანგან.

1921 წ. როცა მტერი მოადგა თბილისს 16 თებერვალს, მე „ოტსტავკიდან“ მომიწვიეს არა მთავარ სარდლად, სრულებით არა:

თითქმის შუალამეს ვეახელი მთავრობის თავმჯდომარეს ბინაზე, სხდომაზედ, სადაც დამხვდა ხალხი, ოცდაათ სულამდე. ამ სხდომაზე, მიუხედავად ჩემი დაჟინებითი წინააღმდეგობისა, მიღებული იყო, ხელების აწევით, გეგმა ბ. ნ. რამიშვილისა.

თანახმად ამ გეგმისა, უნდა შედგენილიყო სადგურ ფოილოსთან რაზმი (ჯარი კი არ გახლდათ). ამ რაზმს უნდა გადაეღახა მტკვარი და შეეტია მტრისათვის ზურგში; იმ მტრისათვის, რომელიც უკვე მოადგა თბილისს, და აი, სწორედ ამ რაზმის უფროსად ვინიშნებოდი.



ძალიან გეგმა გახლდათ და მე უარი უთხარი ამისთანა უსაფუძვლო, შეუსრულებელ და მავნე გეგმის შესრულებაზედ, შექმნილ მდგომარეობაში. მეორე დღეს, როცა ხრამზე მყოფი ჩვენი ჯარი იხევდა თბილისისაკენ სრულებით უწესრიგოდ, სწორედ მაშინ ჩამაბარეს მთავარ სარდლობა, ე. ი. 17 თებერვალს.

როგორც 1920 წ. ისე ეხლაც მოვითხოვე სახელმწიფოს დაცვის გეგმა. ეხლაც არ აღმოჩნდა გეგმა, ეს ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სახელმწიფოს არსებობისა.

კვლავ დაუსვი კითხვა მთავრობას თბილისის შესახებ: ვათავებთ ომს თბილისში, ესე იგი ჩავიკეტოთ შიგ, თუ უნდა ბრძოლა გაგრძელდეს თბილისის დაცემის შემდეგაც? გადაწყდა კიდევ ერთხელ, რაც იყო გადაწყვეტილი 1920 წ.

თბილისში ამ დროს იყო მხოლოდ 2 ასეული და ისიც საყარაულო ათასეულისა, გენ. მაზნიაშვილისა და სამხედრო სკოლა, სადაც იუნკერთა ასეულის გარდა, სხვა ჯარის კაცები (სკოლის ათასეული), მხოლოდ ორი კვირა იყო, რაც იყვნენ მოწვეულნი და დაეწყოთ სწავლა.

ხრამზე მყოფი ჯარი იხევდა და 17 თებერვალს მწყობრად მოვიდა 600—700 ჯარის კაცი; ამ ნაწილს მე დავუხვდი სოღანლულის იქით ვ. ჯუღელის თანადასწრებით.

და, აი, ამ მდგომარეობაში სწორედ მთავრობას უნდოდა თბილისის დატოვება უბრძოლველად. (ეს მეორედ, მაშასადამე).

ცოცხალნი არიან კიდევ ისინი, ვისაც გაუგია ჩემი პასუხი, რომ თბილისის დატოვება უბრძოლველად ჩემთვის შეუძლებელია.

ამაზე იყო დაწერილი დიდი ხანია ჟურნალ „საქართველოს გუშაგში“ მისი რედაქტორის, ბ-ნ სპ. კედიას მიერ, როგორც დამსწრესი ამ ამბისა. როგორც ხედავს მკითხველი, თბილისის დატოვება იყო გადაწყვეტილი მთავრობის მიერ და ბრძოლის დაწყება თბილისისათვის მოხდა მხოლოდ ჩემი დაჟინებითი მოთხოვნით*).

ეს მეორედ, მაშასადამე, გადაწყდა თბილისის დატოვება — მთავრობისაგან და თუ იგი „სამარცხვინოა“, აშკარაა, თუ ვისთვის.

8 დღის ბრძოლის შემდეგ, ჩვენმა ლაშქარმა დაიხია თბილისიდან შემდეგ პირობებში: ამ დროს თელავი და ახმეტა უკვე აღებული იყო და მტერი იწევდა დუშეთზე. იმავე დროს მტერი ლახავდა კავკასიონის უღელტეხილებს და შავი ზღვის ნაპირას მტერმა სძლია ჩვენი იქაური რაზმი და ახევინებდა ფოთისა და ზუგდიდისაკენ.

აქ უნდა აღვნიშნო შემდეგი. როდესაც თბილისიდან თან და თან დახეული ჩვენი ჯარი მიუახლოვდა საჯავახოს და ღამით გადადიო-

*უკვე 17 თებერვალს იყო ბრძანება მთავრობისა თბილისის დაცლაზედ. რედ.

და სამტრედიიდან საჯავახოში, მტერი, შავი ზღვის ნაპირით მოსული, ისე მიუახლოვდა სამტრედიას, რომ იმ ღამის მეორე დილას უკვე დაუშინა ზარბაზნები საჯავახოსთან პოზიციებზე დალაგებულ ჯარს, ესე იგი დილით უკვე ვერ გადავიდოდით რიონს.

თვით თბილისში 24 თებერვალს ჩამოვარდა ასეთი მდგომარეობა: ნაშუადღევს 2—3 საათზე მტერმა (ცხენოსანი) მოუარა ჩვენ მარცხენა ფრთას, დაიჭირა გლდანი, მამკოდი და ავქალა (რკინის გზის სადგურით). ნავთლულის წინ ჩვენი გამაგრებული პოზიციები კახეთის გზატკეცილთან იყო დატოვებული, ჩვენების მიერ.

სოღანლულის მთაზე ვაშნაბადასთან, მეცხრე ათასეულის და სამხედრო სკოლის შუა ერთი მალლობი თბილისის დამცვერი მტრის მიერ იყო აღებული.

ჩვენი მარჯვენა ფრთა იყო შემორტყმული იმ მტრის მიერ, რომელიც მოუახლოვდა თბილისს მანგლისით და პრიუტით და ნახშირგორიდან ჩამოვიდა საბურთალოსა და დიღმის მინდორზე.

აი ამ პირობებმა აიძულეს ჩვენი ჯარი დაეხია თბილისიდან.

და თუ ამ ღამეს მტერმა ღამის 9—10 საათის შემდეგაც გვაცალა და არ მოიტანა ჩვეულებრივი იერიშები, ეს აიხსნება იმით, რომ თბილისს, მართლა რომა ვსთქვათ, უკვე ალყა ჰქონდა შემორტყმული.

იმ ღამეს მე პატარა რაზმით და ოთხი ზარბაზნით დავდექი მუხათ გვერდზე, რათა მტკვრის მარჯვენა მხრით მსვლელი ჩვენი ჯარი უზრუნველმეყო ნახშირგორის მხრიდან.

რაც შეეხება მტკვრის მარცხენა ნაპირს, იქ მოხდა შემდეგი: რკინის გზის სადგური (ავქალა) ჩვენ ღამით გავწმინდეთ მტრისაგან, მაგრამ სოფელი ავქალა იმათ ხელში დარჩა.

დილით ირიჟრაჟა თუ არა, მტკვრის მარცხენა მხრივ მსვლელი ჩვენი ჯარი მოადგა ავქალას; იქ დახვდა მტერი.

ამ ალაგას მე ვიყავი დამსწრე ჩვენი ჯარის ღამაში მოქმედებისა: უცქეროდი მუხათ გვერდიდან.

ჯარმა გაშალა შარი, ზარბაზნები ჩამოხსნეს, დაუშინეს ცეცხლი ავქალას და მამკოდს და გადავიდნენ შეტევაზე.

ამ შეტევის სათავეში გაექანა პირველად ერთ-ერთი ჯავშნოსანი ვ. გოგუაძისა თუ მისი ძმის ხელმძღვანელობით. ამისთანა შეთანხმებულმა მოქმედებამ გაარღვია მტრის ალყა, ჯარმა გაიხსნა გზა და გავიდა მცხეთას.

და, აი, ამისთანა მოქმედებას უწოდებენ „სამარცხვინო დატოვებას“.

თბილისიდან გამოსულ ჩვენ სამხედრო ძალას მე უწოდებ სიტყვას ჯარს, მაგრამ ეს სიტყვა, რასაკვირველია, ნახმარია ზედმეტად, რადგან რიცხვი მისი იყო დილით 24 თებერვალს 9,600 ხიშტი;

პირველ ბრძოლაში, იმ ღამეს, როცა ჩავიგდეთ ტყვეთ 1000 მეტი კაცი, ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა მხოლოდ 5—6 ათასეულმა.



8 დღის განმავლობაში ჩვენი ჯარი ებრძოდა თბილისში 3-4 ჯერ მეტ მტერს, დღე და ღამე.

წერილის ავტორი ამბობს და არა ამტკიცებს, რომ თბილისის „სამარცხვინო დატოვებამ“ საქართველოს ბოლო მოუღო. თბილისის დატოვება რა შუაშია?

ომს უნდა მომზადება: ჯარის შექმნა, სახელმწიფოს დაცვის გეგმის შედგენა, სახელმწიფოს მიწა-წყლის გამაგრება შედგენილ გეგმის თანახმად, სხვა ერებთან, განსაკუთრებით მეზობლებთან კავშირის შეკვრა, იარაღის შეძენა, სათანადო ქარხნების გახსნა, გზების შეკეთება და ბევრი, ბევრი რამ. რა იყო ამ მიზნით გაკეთებული? არაფერი.

1919 წ. შეკრული გვქონდა სამხედრო კავშირი ადერბეიჯანთან.

1920 წ. ჩვენ ვდევნიდით ბოლშევიკებს წითელ ხიდთან დამარცხების შემდეგ აქსტაფის მიმართულებით; ადერბეიჯანელები აწუბდნენ აჯანყებას განჯაში და იმის მაგივრად, რომ მივშველებოდით მოკავშირეს, ჩვენ შევწყვიტეთ ომი და ზავი შევკარით მტერთან.

და ეს მაშინ, როცა ვრანგელი დაიძრა ყირიმიდან და პოლონელები ამარცხებდნენ ბოლშევიკებს.

აი როდის გადაწყდა ჩვენი ბედი, თუ არ ჩავთვლით იმ დღეს, როცა ძალა-უფლება ჩაუვარდა ხელში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ან უკეთ რომა ვსთქვათ ჩვენ ყოფილ მთავრობას.

გარდა ქართულისა, ბრალდება ჩვენ დაღუპვაში, ჩვენ მთავრობას წამოუყენეს გაზეთებში და წიგნებშიაც ფრანგულ პრესაში, ინგლისურ და გერმანულშიაც და უკანასკნელად პოლონურშიაც. აბრალდებენ, ჩვენ მთავრობას, რომ მან შესწირა სამშობლო თავის დოქტრინას, თავის „ფანტაზიებს“. უკანასკნელი სიტყვა ნახმარია სწორედ პოლონურ პრესაში.

ჩვენში არსებობდა ჯარი (12 ათასეული) და გვარდია (23 ათასეული). ვილაპარაკოთ გვარდიის ორგანიზაციაზე? ბრძანდებოდა თუ არა ბ-ნი ავტორი ამისთანა სამხედრო ორგანიზაციის მომხრე? ბრძანოს და მაშინ განსაკუთრებულ წერილებით დაუმტკიცებთ, რომ უკანასკნელი ათასი წლისა, თუ არა მეტის განმავლობაში მხოლოდ ჩვენში გახლდა შემოღებული ამისთანა სამხედრო ორგანიზაცია.

ბოლშევიკებმაც მალე გაიგეს და ტროცკიმ დაიწყო ნამდვილი ჯარის შექმნა. სხვაზე არ ვილაპარაკებ; ვინც იყო საქართველოში, გულწრფელია და არა აღტაცებული თავის რაიმე გრძნობებით, იტყვის, რომ ჩვენში არაფერი გახლდათ მომზადებული სამშობლოს დაცვისათვის. მით უმეტეს ვინც დაუკვირდა იმას, რაც კეთდებოდა და კეთდება ამ მხრივ საფრანგეთში.

სიტყვა „სამარცხვინო“ იმისიც მაჩვენებელია საიდან ქარი ქრის;

*) თუ ასეთი „სამარცხვინო“ იყო თბილისის დატოვება, რატომ გადაწყვიტა ასეთი სამარცხვინო საქმე მთავრობამ ორჯელ? ან როგორ ხდება, რომ იგივე მთავრობა საზღვარგარედ აყრუებს ქვეყანას თავის მემორანდუმებსა და ნაწერებში უცხო ენაზედ, რომ ქართველმა ერმა

არის კიდევ ერთი დემაგოგიური აზრი: თბილისის დატოვებამ(?) ზუღლი გაუტეხა ჯარს.

როცა საქართველოს ყველა ჯარის ნახევარი თბილისის წინ ბრძოლებში (11 თებერვლიდან 16-მდე) იყო ისე დამარცხებული, რომ ამ რიცხვიდან მწყობრად დაიხია მხოლოდ 600—700 კაცმა; შეადარეთ ეს მოვლენა იმას, როგორ იხევდა ჯარი თბილისიდან.

რაში გამოიხატა გულგატეხილობა? უკვე გორში შევებრძოლეთ მტერს. ხაშურში კი გადავედით შეტევაზე და რომ არ მომხდარიყო ჩვენ მარცხენა ფრთაზე ერთი მოვლენა, რომელზედაც არ მინდა ლაპარაკი*), ბრძოლა თავდებოდა ჩვენი გამარჯვებით, რადგან მტერი უკვე მოსცილდა თავის ზარბაზნებს.

სურამის უღელტეხილიდან საჯავახომდე ყოველდღიური ბრძოლა. მერე ბათუმში ბრძოლა, როცა ჩვენი ჯარი (თავის თაოსნობით) შეებრძოლა ოსმალეთის ჯარს.

ამისთანა მოვლენები არ გახლავს გულგატეხილობის ნიშნები; პირიქით, ეს დამამტკიცებელია ჩვენი ერის სიმტკიცისა, რომლითაც არ ისარგებლეს ჩვენმა მეთაურებმა.

ომისათვის, ბრძოლისათვის შეჰქმნეს ისეთი პირობები, ხალხი ჩააყენეს ისეთ მდგომარეობაში, მაგალითად გვარდიის ორგანიზაციის დაარსებით, რომ გასაკვირველია როგორ იბრძოდა კიდევ ჩვენი გლეხი და მუშა. ოფიცრებს არ შევეხები. მიუხედავად ცხოვრების აუტანელ პირობებისა იმათ გამოიჩინეს ძველებური თავდადება. რომ ჩვენ ხალხს შეეძლო ძველებური გმირობა, ამის დამამტკიცებელია სამხედრო სკოლა, სადაც იგივე ხალხი იყო, მაგრამ ჩაყენებული სამხედრო სწავლისა და აღზრდის სწორ და შესაფერ პირობებში, თანამედროვე ბრძოლისათვის.

უწინდელ დროს საქართველოში დედა-ქალაქს ისე არ უყურებდნენ, როგორც ეხლანდელი „მოდის“ ხალხი.

უწინ თბილისი, დედა-ქალაქი, გახლდათ პირველი მკერდი სამშობლოს დაცვისათვის, მეფე და დედა-ქალაქის მცხოვრებნი იყვნენ პირველი დარაჯნი საქართველოსი. ამიტომაც დედა-ქალაქი ჩვენი ისე მოახლოვებული იყო საზღვარს და სწორედ იმას, საიდანაც უფრო ხშირად მოელოდა საქართველოს საშიშროება.

ამისთანა პირობებში (საზღვართან სიახლოვე) ქართველ ერს იგი არა ერთხელ დაუკარგავს, მაგრამ გულს არ იტეხდა და ბრძოლა გრძე-

„იბრძოლა რაინდულად“, მაგრამ დიდი რუსეთის მრავალრიცხოვნობას ვეღარ გაუძლოვო? როდის უფრო სტყუის ეს მთავრობა? როცა სწერს, ქართულ „შინაურ ფრონტისათვის“, თუ როცა სწერს უცხო ენაზედ — საგარეოსათვის? (რედ.).

*) გვარდიის უკან წასვლა, იერიშზე გადასვლის მაგიერ. (რედ.).



ლდებოდა. დაულალავ, გაუთავებელ ბრძოლებში გაკაედა ქართველი ხალხი; გამტკიცდა მისი სული და გული და სწორედ ამ მოვლენამ იხსნა ჩვენი ერი, 1500 წლის განმავლობაში, გაქრობისაგან. ბევრი არ არის დედა-მიწაზე ამისთანა სიმტკიცის ხალხი. მხოლოდ უნდა იყოს ჩაყენებული ცხოვრებისა და ბრძოლის ნორმალურ პირობებში.

ეხლა ორიოდე სიტყვა შესანიშნავ დაბოლოვების შესახებ, წერილისა, „26 მაისის ირგვლივ“.

„შესძლებს კი ასეთი ლაშქარი დიდ ხანს არსებობას? უკეთეს შემთხვევაში მოსკოვის დანგრევის პირველ ნიშნამდე“. ამით თავდება ეს წერილი. ასეთი „ლაშქარი“ გახლავს „კავკასიის“ თანამშრომელნი.

ეს რა არის? სთქვით პირდაპირ და პირნათლად რას ნიშნავს ამინთანა აზრების შეერთება?

იქნებ ამით გინდათ ჩვენი ჯგუფი დაუკავშიროთ მოსკოვს? არა მგონია, ამის თქმა უნდოდეს წერილის ავტორს; არ შეშვენის ყოფილ მინისტრს ამისთანა დემაგოგიის ხმარება; ეს ხომ „გალიორკისათვის“ ნამხარი იქნებოდა. არც ისა მგონია, რომ გულში ასე ფიქრობდეს.

მოვაგონებ ავტორს ხელისმოწერას მაგათი მეთაურის, ბ-ნი ნ. ჟორდანიას მიერ, ჰამბურგში 1923 წ. იმ დოკუმენტზე, სადაც მეორე ინტერნაციონალი დაბეჯითებით მოითხოვდა სახელმწიფოების მთავრობათაგან ბოლშევიკების ცნობას იურიდიულად; და ეს — ჩვენი მტრის ცნობას, ორი წლის შემდეგ მასთან ომისა, რის შედეგადაც დავკარგეთ სამშობლო.

არც ის დაგვეიწყებია, რომ გენ. ფრანკოს გამარჯვება ესპანეთში თურმე ჩვენთვის ყოფილა საშინელი უბედურება, ესე იგი უბედურება იქნება დამარცხება ესპანეთის წითლებისა, მოსკოვის ნაშობთა.

მოსკოვის დაცემის „პირველი ნიშნები“ უკვე გამოჩნდნენ და კვლავ სად უფრო გამოჩნდება, ესეც გამოჩნდება.

გ. კვინიტაძე



კავკასიელ ერთა ერთობისათვის

მთელი მე-19 საუკუნის ისტორია განსაკუთრებულს სიცხადით გვაჩვენებს პატარა სუვერენულ სახელმწიფოთა მისწრაფებას, ურთიერთთან მჭიდრო კავშირით უფრო დიდი ერთეულების შესაქმნელად.

ეს ტენდენცია ძალთა და შესაძლებლობათა კონცენტრაციისა წინსვლის და ახალი ეპოქის იმპერატიული მოთხოვნისაა, პარტიკულიარიზმი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ეპოქის ახალ-ახალ მოთხოვნებს.

დიდი ომის შედეგად პატარა სუვერენულ ერთეულების ბედი და სხვა პატარა სახელმწიფოთა ნახევრად ვასალური მდგომარეობა, ზე-

მოდ აღნიშნული მისწრაფების ბუნებრივ მიზანშეწონილებას ცხად-ჰყოფს და პატარა ერთა ნაციონალურ ფსიქოლოგიის ახალ ფორმებში ჩამოსხმას თხოულობს.

კავკასიელ ერთა ისტორია და განსაკუთრებით მისი დამოუკიდებელი სუვერენული არსებობის ხანმოკლეობა გვაგვალებს ახალი გზა ვეძიოთ, ეროვნული ღირსების და თავისუფალი ცხოვრების შესანარჩუნებლად. მე-19 საუკუნის ისტორიული გამოცდილება და მე-20 საუკუნის გაკვეთილები ნათლად გვეუბნებიან, რომ საჭირო არის კავკასიელ ერთა ძალების თავმოყრა, მათ შესაძლებლობათა მობილიზაცია, ერთი სიტყვით, მტკიცე ორგანიული ერთობა.

ასეთი ერთობის განსახორციელებლად ჩვენ პირობებში არსებობს ორი ფორმა: **ფედერატიული და კონფედერატიული**. განვიხილოთ მოკლედ ერთი და მეორეც.

როდესაც რამოდენიმე სუვერენული სახელმწიფო ერთმანეთთან ხანგრძლივ კავშირ-ერთობის ხელშეკრულობასა სდებს, მათ შეუძლიათ შექმნან **ფედერატიული სახელმწიფო, ან სახელმწიფოთა კონფედერაცია**.

კონფედერაცია ჰგულისხმობს: შემავალი სუვერენული სახელმწიფოები ინარჩუნებენ თავიანთ სუვერენობას, ყოველ მათგანს ჰყავს საკუთარი ადმინისტრაცია, ჯარი, დიპლომატიური წარმომადგენლობა, და სხვ. ისინი ერთდებიან ზოგიერთ საერთო ინტერესების დასაცავად, როგორც მაგალითად საზღვრებისა და შინაგანი წესრიგის დაცვა. მიზანი კონფედერაციისა გათვალისწინებულია კონფედერატიულ პაქტში და შემავალ სახელმწიფოთა დესპანების თათბირი უფლება მოსილია მხოლოდ პაქტში გათვალისწინებულ საქმეების წარმოებაში. ყოველი შესწორება პაქტისა ან მისი რომელიმე ნაწილის შეცვლა უნდა იქმნეს მიღებული ერთხმად. თუ ეს მოუხერხებელია და იქმნება უმრავლესობა-უმცირესობა, ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ კონფედერაციიდან გავიდნენ (გამოყოფის უფლება: „დრუა დე სესესიონ“).

ყველაზედ მკაფიო, უდაო და ჩვენის აზრით სწორ განმარტებას კონფედერაციისას იძლევა ლუი ლე ფური თავის კლასიკურ სადოქტორო შრომაში: „სახელმწიფოთა კონფედერაცია არის სუვერენულ სახელმწიფოთა ასოციაცია ცენტრალურის ხელისუფლებით, რომელსაც წარმოადგენს უფლებრივ პიროვნებას და ჰყავს პერმანენტული ორგანოები. საერთო თავდაცვა აუცილებელივ წარმოადგენს მის მიზანთა ნაწილს, მაგრამ თითქმის უმაგალითო არის, რომ სახელმწიფოთა კონფედერაცია შექმნილი იყოს ამ ერთად ერთი მიზნის განსახორციელებლად. ცენტრალური ხელისუფლება ყოველთვის უფლება მოსილია როგორც შიგნით ისე გარეთ წარმოადგინოს მთელი რიგი საერთო ინტერესებისა. მაგრამ რამდენად ამ უფლება მოსილების წყარო არის ამ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულება, შემავალი წევრები ემორჩილებიან ნებაყოფლობით მიღებულ და პაქტში აღნიშნულ ვალდებულებას და არა უზენაეს ხელისუფლებას, ისინი ინარჩუნებენ თავიანთ სუვე-



რენობას და, მაშასადამე, მათ მიერ შექმნილი კავშირი წარმოადგენს სახელმწიფოთა კონფედერაციას.

ეს განმარტება გვიადვილებს სახელმწიფოთა კონფედერაციის იურიდიულ ბუნების გაგებას; ცხადია, კონფედერაცია არის სახელმწიფოთა ასოციაცია და არა ახალი სახელმწიფო. ის არის სუვერენულ სახელმწიფოთა ასოციაცია და რადგანაც ერთსა და იმავე ტერიტორიაზედ შეუძლებელია ორი სუვერენული სახელმწიფოს არსებობა და კონფედერაციას კი არა აქვს სუვერენიტეტი, ესე იგი მთავარი ატრიბუტი, რაც ახასიათებს სახელმწიფოს, გადაწყვეტილებანი კონფედერაციის თათბირისა არის გამოხატულება შემავალ წევრთა მისწრაფებისა და არა სუვერენულ სახელმწიფოს მთავრობის აქტი.

როდესაც მოკავშირე სუვერენულ სახელმწიფოებსა სურთ ერთგვარი უნიტარული ხასიათი და მეტი სიმკვრივე მისცენ თავიანთ კავშირს, მათ შეუძლიანთ შექმნან ფედერატიული სახელმწიფო.

ფედერატიული ფორმა სახელმწიფოსი ჰგულისხმობს შემდეგს:

ფედერატიული სახელმწიფოს წევრები უარს აცხადებენ თავიანთ პრეროგატივების ნაწილზედ ფედერატიული ხელისუფლების სასარგებლოდ. ფედერატიულ სახელმწიფოს ჰყავს ერთი მეთაური, საკუთარი ორგანოები, საერთო წარმომადგენლობა და საერთო საკანონმდებლო შემოქმედება, რომელიც, ფედერატიულ კონსტიტუციის მიხედვით, საერთო ვალდებულების ხასიათისაა განსაკუთრებულ შემთხვევებისათვის. შემავალ წევრებსა ჰყავთ საკუთარი ხელისუფლება, მაგრამ მათ არა ჰყავთ საკუთარი დიპლომატიური წარმომადგენლობა, ამ ფუნქციებს ფედერატიული მთავრობა ასრულებს. ფედერატიულ სახელმწიფოსა ჰყავს საკავშირო მთავრობა, დამოუკიდებელი ფედერატიულ სახელმწიფოში შემავალ წევრთა მთავრობებისაგან და რომელსაცა აქვს საკუთარი ძელა-უფლება, საშუალებანი, თავის გადაწყვეტილების ძალაში მოყვანისა და, რაც მთავარია, ფედერატიული სახელმწიფო არის სუვერენული სახელმწიფო და მასში შემავალი წევრები კი არ არიან. მათ არა აქვთ კავშირიდან გამოყოფის უფლება. მათ ერთგვარი თვითმართველობის ფუნქციები შერჩათ (სელფ-გუვერნემან).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფედერატიულ სახელმწიფოს და მისი წევრების საკითხი იწვევდა და იწვევს დიდ აზრთა სხვა და სხვაობას ცნობილ იურისტების შორის.

დე-ტოკვილის აზრით ფედერატიული სახელმწიფო დაშენებულია სუვერენიტეტის დანაწილების პრინციპზედ, ფედერატიული სახელმწიფოს წევრები, მათთვის მინიჭებულ საზღვრებში, არიან დამოუკიდებელი და სუვერენული.

„ფედერატიული სახელმწიფოს კომპეტენცია არის გამონაკლისი, მასში შემავალ წევრთა კი, არის და უნდა იყოს წესი“-ო.

დაახლოებით იმავე აზრს იზიარებს, მხოლოდ მეტის სიმტკიცით, გერმანელი იურისკონსულტი ვეიტცი; მისი აზრით: „ფედერატიული სახელმწიფო არის პოლიტიკური ფორმა, რომელშიაც ერთი ნაწილა

სახელმწიფო მიზნებისა არის საერთო და დანარჩენი კი ცალ-ცალკე ეკუთვნის შემავალ წევრებს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს"-ო.

უფრო შორს წავიდა ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთი შტატების ჩამოშორების თეორეტიკოსი ჯონ კალუნი; მისი განმარტება ფედერატიულ სახელმწიფოსი არაფრით განსხვავდება სახელმწიფოთა კონფედერაციისაგან.

„ფედერატიული სახელმწიფონი შეიქმნენ სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებებით; მაშასადამე, ამ უკანასკნელთ შერჩათ უფლება ჩამოშორებისა (სესესიონ), ხელშეკრულების შეცვლის შემთხვევაში. ფედერატიული ხელისუფლება და მთავრობა არის წარმომადგენელი შემავალ სახელმწიფოებისა და არა ერის ორგანოებისა“-ო, ამბობს კალუნი. ამ მოძღვრებას მეტად მწარე პასუხი გასცა 1860 წელს ამტყდარმა სამოქალაქო ომმა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, რომელიც 5 წელს გაგრძელდა (გერ დე სესესიონ).

ფედერატიული სახელმწიფოს ასეთი განმარტების წინააღმდეგ გამოვიდა მთელი პლეადა ცნობილი იურისკონსულტებისა, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს ელენიკი და ბორელი.

ბორელის აზრით, სუვერენიტეტი არის ერთი, განუყოფელი და აბსოლუტური და რადგან ეს უკანასკნელი ატრიბუტია ფედერატიული სახელმწიფოსი, ამ უკანასკნელს არ შეუძლია მისი განაწილება თავის წევრთა შორის. ის ფიქრობს ისევე, როგორც ელენიკი, რომ მოძღვრება, რომელიც ამყარებს ფედერატიულ სახელმწიფოს, სუვერენიტეტის დაყოფის პრინციპზედ, წინააღმდეგობაშია ლოლიკის კანონებთან. ორში ერთი, ან სუვერენიტეტი ეკუთვნის მთლიანად ამ უკანასკნელს და წევრები არ არიან სუვერენული სახელმწიფოებიო.

ელენიკი, იზიარებს რა ფედერატიულ სახელმწიფოს სუვერენობას და სუვერენიტეტის დანაწილების შეუძლებლობას, უმატებს, რომ ის უფლებები, რომელიც მინიჭებული აქვთ ფედერატიული კონსტიტუციით შემავალ წევრებს, სუვერენიტეტის ნაწილები კი არ არიან, არამედ ფუნქციათა განაწილებაო.

ასეთს აზრთა სხვა და სხვაობაში ერთი, საყოველთაოდ მიღებული განმარტების მიღება მეტად ძნელია, მაგრამ განსაზოგადოებული აზრი, რომელსაც ისტორიამ და პრაქტიკამ თვინათი ხმა მისცა და ჩვენის აზრით სწორიც, არის შემდეგი:

„ფედერატიული სახელმწიფო არის სუვერენული სახელმწიფო, შედგენილი წევრ სახელმწიფოთა მიერ, რომელთაც არა აქვთ ჩამოშორების უფლება. ისინი თანამშრომლობენ სხვა და სხვა ფორმის შესაძლებლობათა მიხედვით ფედერალურ მისწრაფების შექმნაში და სარგებლობენ გარკვეული საკანონმდებლო ავტონომიით“.

აი მოკლედ პატარა ერთა შორის მტკიცე ორგანიული ერთობის დამყარების ორი ფორმა.

რომელი არის უფრო მისაღები კავკასიელ ერებისათვის?



რომელი უფრო შეეგუება კავკასიურ სინამდვილეს? ჩვენი წრის აზრი ამის შესახებ ცნობილია, ჩვენ ვხედავთ კონფედერატიულ ფორმაში ყველაზედ რეალურ შესაძლებლობას ჩვენი ერთობისა. რატომ? შევეცდებით ავხსნათ. კავკასიაში ოთხი ერი სცხოვრობს, ენათა სხვა და სხვაობით. ეს ფაქტორი გვაშორებს იმ ორგანიულ შედუღებას, რომელიც ფედერატიულ სახელმწიფოს მოქმედებაში ხდება. ყოველ ჩვენთაგანს ახასიათებს პატრიოტული პრეტენზია, შეგნება თავის დედა-ენის უპირატესობისა. მოვლენა მეტად ადამიანური, შეგნება აუცილებლად მამულიშვილური, მაგრამ გარემოება ანტიფედერატიული ხასიათისა, რომლის მოთავსება მხოლოდ კონფედერატიულ კონცეპტიაში შეიძლება.

მეორე: კავკასიაში ორი დიდი რელიგია არის გაბატონებული— ქრისტიანული და მუსულმანური. მიუხედავად იმისა რომ ჩვენს ეპოქაში ღმერთთან მხოლოდ ზრდილობიანი ნაცნობობა გვაქვს და მისი არსებობა მორწმუნეთაც მხოლოდ ჯვარის წერისა და პანაშვიდების დროს გვაგონდება, ზედმეტი არ არის ამ მნიშვნელოვანი ფაქტორის აღნიშვნა, რადგან მთელი საუკუნოების მანძილზედ, იგი ჩვენს შორის სისხლის ღვრის ერთ ერთი მიზეზიც იყო.

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ შექმნა საკუთარი ზნე-ჩვეულებანი საქართველოსა და სომხეთში, გამომუშავდა ერთგვარი ქრისტიანული მორალი, ქრისტიანული დისციპლინა, მეორეს მხრით მთასა და ადერბეიჯანში მაჰმადის მოძღვრებამ შექმნა სხვაგვარი ტრადიცია, განსხვავებული ზნეობა და მუსულმანური წესი და რიგი. ეს გარემოება ართულებს ფედერატიულ ოჯახის შექმნის შესაძლებლობას, რადგან ფედერატიული ფორმა, ფედერატიული სახელმწიფო თხოვლობს, ზნე-ჩვეულებათა, წესთა და ეროვნულ დისციპლინათა მინიმალურ ერთფეროვნებას მაინც. მხოლოდ კონფედერატიულ ფორმაში შეიძლება ამ დამაშორებელ ფაქტორთა უმტკივნეულო გარიცხვა და გამაერთიანებელ საფუძველზედ საერთო ცხოვრების დაშენება.

მესამე: საუკუნოებრივი მძიმე მემკვიდრეობა. მთელი საუკუნეების მანძილზე ჩვენი მუსულმანი კავკასიელი მეზობლები თავიანთ თანამორწმუნეებთან ერთად თავიანთ ქრისტიან მეზობლებს ებრძოდნენ. ეს გარემოება ერთი მთავარი მიზეზთაგანია, რომ სომხეთი და საქართველო ქრისტიანულ რუსეთში შეეცადა ხსნას და მეგობრის პოვნას. ეს წარსული ჰქმნის ერთგვარ უნდობლობას მაჰმადიანებისა ქრისტიანების მიმართ და ქრისტიანებისა მაჰმადიანების მიმართ. სომხების დღევანდელი პოზიცია, დიდ ნაწილში ამ ნდობის კრიზისით აიხსნება და მაჰმადიანების ეჭვი სომხების კავკასიურ გულწრფელობაში იმავე მიზეზითაა გამოწვეული. კონფედერატიული ფორმა ერთგვარი გარანტია არის როგორც ერთთა ისე მეორეთათვის მოულოდნელ სიურპრიზებისაგან თავის დასაზღვევად.

და ბოლოს მხოლოდ კონფედერატიულ ფორმაში შეიძლება შეთანხმება ჩვენიკავკასიური ხასიათის, რადგან ყოველ ჩვენთაგანს ერთი მე-

ტად სამწუხარო ხასიათი დასჩემდა: ეს ეხება როგორც მთიელს ისე ქართველს, როგორც სომეხს ისე ადერბეიჯანელს — ყოველი ჩვენთაგანი დარწმუნებულია თავის ეროვნული კულტურის და ღირსების უპირატესობაში, დათმობა და ბრძნული კომპრომისი ჩვენი ბუნებისათვის თითქო უცნობია. ცალკე პიროვნება თუ კრებული ამ ავადმყოფობის ქრონიკული მაგალითია და აი, სწორედ აქ იშლება ჩვენს წინაშე მეტად მძიმე ისტორიული სენი: „უჩემოდ ვინ იმღეროსა“. და სწორედ სახელმწიფოთა კონფედერაციაში ყველას საკუთარი მუსიკალური აკადემია ექნება და ამით აცილებული პერმანენტულ კონფლიქტთა წყარო.

ას წელზედ მეტი არის, რაც რუსეთის მონობაში ვიმყოფებით, ქრისტიანული ნდობა ჩრდილოეთის სუსხმა გაჰყინა. მუსულმანურ მისწრაფებას, მიუხედავად მაჰმადის ხმლის მფარველობისა, ვარიაგულმა ხიშტმა ფრთები შეჰკვეცა.

კავკასიელ შვილთა შორის არსებულმა უთანხმოებამ, კავკასიური თავისუფლება მოჰკლა.

1918 — 1921 წ.

ხანმოკლე თავისუფლება.

საუკუნოებრივ წამებას ზედ ერთვის კიდევ ერთი „ზედმეტი“ ისტორიული გაკვეთილი. მაგრამ წამების სინამდვილეში იშვა ურყევი რწმენა, რომ არამც თუ მტრობა ჩვენს შორის, არამედ ცალ-ცალკე არსებობაც კი ჩვენი სიკვდილის განაჩენია.

კავკასიელ ერებს აურაცხელი საერთო ინტერესები აკავშირებს „შიგნითაც და გარეთაც“. მათ სჭირიათ არა ადამიანური შრომა და ენერჯია თავისუფლების მოპოვებისა და მისი განმტკიცებისათვის.

მათ უნდა შეჰქმნან უზენაესი კავკასიური ეროვნული დისციპლინა, რომელიც შემოზღუდავს ქვეყანას და მის საზღვრებს უცხოთათვის გარდაუვალი სიმაგრეებით, დაანგრევს შიგნით დრო მოჰკმულ და კავკასიური ერთობის ხელის შემშლელ ბოროტ დოგმებს.

სიძულვილი, მტრობა და შური, ადამიანის დამაქვეითებელი და ზნეობრივად გამხრწნელი გრძნობებია, უღირსი კავკასიელთათვის და მით უფრო დასაგმობი, როდესაც ეს გრძნობები ძმათა შორის ჰბუღობს.

ჩვენ მოუწოდებთ ჩვენს თანამემამულეებს ადამიანის ამამალლებელ გრძნობებისაკენ — ძმობა-სიყვარულისაკენ.

კავკასიელ ერთა კონფედერაციისაკენ.

დინარელი

P.S. ჩვენი ჟურნალის ოქტომბრის ნომერში ჩემს წერილში შეიპარა შემდეგი შეცდომა: მე-12 გვ. მე-5 სტრიქონი ქვევიდან არის — რუსულ ფაშას; უნდა იყოს: რუსულ ფაშას.

დიდი მგოსნის მიკატიჟება რაჭა - ლეჩხუმში

(ბოლო)

ხარკოვის პროფესორის და მის მხლებელთა შეხვედრამ ცოტა არ იყოს შეგვაგვიანა. უკვე მიახლოებული ვიყავით საქართველოს ისტორიაში ცნობილ ვიწროებს „ხიდის კარად“ წოდებულს. აქ ერთ დროს გამაგრებული იყო ბარაკონის ციხის მფლობელი დიდი როსტომ ერისთავი და უმძლავრდებოდა იმერეთის მეფე სოლომონ პირველს. აქვე, ფასის მთიდან მომდინარე, შეუპოვარ რიონის მარჯვენა ნაპირზე გაშლილია ცნობილი სოფელი წესი. ამ ადგილას მოეყარა თავი დიდძალ ხალხს. ღამის გატარება მოგვიხდა სწორედ როსტომ ერისთავის პირდაპირი შთამომავლის ბინაზე. ოდესღაც დიდი ძლიერების მქონე წინაპრების ჩამომავალს, მათგან დაშთენილი ჰქონდა მასპინძლის გულუხვობა და პატივისცემა მწიგნობრობისადმი. იმ დაუვიწყარ საღამოს, ამ ისტორიულ ოჯახში, გაიმართა საამური მუსაიფი მგოსანსა და რაჭველ მოწინავე პირთა შუა. სჭარბობდნენ სამღვდელონი და მათ შორის პირველობა ეკუთვნოდა მ. ვლადიმერ ფოფხაძეს.

ბარაკონის ციხე დაგვყურებდა ზევიდან. თვალს იტაცებდა მის ძირში ქართულ ხუროთმოძღვრულ გეგმაზე აგებული, ძველი შნოიანი, ერისთავიანთ ტაძარი. ამ გარემომ ყველანი მოგვხიბლა და, განსაკუთრებით, დიდი სტუმარი. უნებლიედ, საუბარი ჩამოვარდა როსტომ ერისთავის ბედზედ. მგოსანი აკაკი ხომ აღმოჩენი იყო „სიკო კანდელაკის ნაამბობის“ სოლომონ დიდისა და როსტომ ერისთავის შეტაკება-ბრძოლის შესახებ. შემზარავი შინაარსი და საუცხოვო ენა ამ შესანიშნავი ტრადედია-მოთხრობისა განსაკუთრებით აყვარებს მკითხველს ამ ნაწარმოებს. ზოგი ავქსონობას აწერს თვით მგოსან აკაკის. ეს გამოისახა უკვე ლიტერატურაშიაც. მაგრამ ეს მართალი არ არის. სიკო კანდელაკი გამოგონებული პიროვნება არ არის. იგი სინამდვილეში არსებობდა. ამ სტრიქონების დამწერს უნახავს ჟურნალ „კვალის“ რედაქციაში (მარქსისტების მოწვევამდე) გარეშე კაცის ხელნაწერი, რაქის ერისთავის ამბის შემცველი, ზოგიერთ ადგილას შესწორებული. ჩემის აზრით ეს შესწორება უნდა ეკუთვნოდეს მგოსან აკაკის. შესაძლებელია ჟურნალის ფაქტიურ ხელმძღვანელს, ჩვენი წარსულის თაყვანისმცემელს, გიორგი წერეთელს თავის მხრითაც რაიმე ცვლილება შეეტანოს.

ამ ღირსშესანიშნავი ნაწერის დედანი იქნება აღმოჩნდეს გიორგი წერეთლის მეუღლის „ჯეჯილის“ რედაქტორ განსვენებულ ანასტასია თუმანიშვილის არქივში. თორემ უცნაურია, რად უნდა დასჭირებოდა დიდ მგოსანს ასეთი ნატყუარობა?!

მართლაც ეს სიუჟეტი კარგი დრამისა და მომხიბლავი ფილმისათვის გამოსაყენებელი, მეტად იტაცებდა მგოსანს. იმ საინტერესო საღამოსაც სოფელ წესში, როსტომის ჩამომავალთა კერასთან, აკაკი ტკბი-

ლად გვესაუბრებოდა ამ საგანზე. მსმენელთ გვესტავალავდა სწორედ ის ნელ-თბილი გრძნობა, რომელიც მუდამ სწრთენიდა იმ ახალგაზრდობას, რომელსაც ჰქონდა უსაზღვრო ბედნიერება მის ახლოს მდგარიყო.

როსტომის ამბავის გარდა, მოსაუბრენი დაინტერესდნენ ერთ დროს, რუსობის დამყარებამდე, სოფელ წესში ქუთაისიდან გადმოტანილ სტამბის ისტორიით, სტამბის გამმართველ ზუბოვ-ზუბაშვილის შთამომავლობის ამბით. რაჭველი მოძღვრები გვარწმუნებდნენ, რომ სტამბის ნაშთები ახლაც მოინახება აქაიქ წესში და ძველი ნაბეჭდის პატარა ნაწილი შენახული აქვს ერთ ოჯახს. საუბედუროდ ეს მტკიცება ვერ გაამართლეს საბუთის მოტანით: პატრონი ვერ მოეძებნათ.

წესელმა გლეხობამ გვანახვა სამაგალითო ფერხული. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ერთმა დედაბერმა. რიტმის ისეთ შეგრძნობას იჩენდა და ისეთ ლექსებს ამბობდა, რომ აქამდინაც არ გამჭრობია შთაბეჭდილება. აკაკი ალტაცებით შეჰყურებდა: ძველი საქართველოს სიმაგრისა და საამურობის გამომსახავ სიმბოლოდ მიაჩნდა. ეს დედაბერი კარგადა სჩანდა ამაშუკელის იმ ფილმზედაც, რომელიც გაფუჭებას გადაურჩა.

წესში გამართული დღესასწაული ისეთი სასიამოვნო იყო, რომ მას უცხოელნიც გაკვირვებულნი შესცქეროდნენ. იმ დროს იქ იმყოფებოდნენ ფრანგი ინჟინრები, რომელნიც იკვლევდნენ რიონს ელექტრონის სადგურის მოსაწყობად. ესენი სწვეოდენ წესში მცხოვრებ ბაქრაძიანთ ოჯახს, რომლის წევრი ქ-ნი კატო ნამყოფი იყო საფრანგეთში და კარგად იცოდა ფრანგული. წესშივე გავიცანით ახალგაზრდა ქალი მარო წერეთლისა, რომელმაც მიიპყრო მგოსნის ყურადღება თავისი ქართულით და ქართულ მწერლობისადმი დიდი ინტერესით. სრულებით შემთხვევით ერთ მეცნიერულ წიგნში აღმოვიკითხეთ ამას წინად, რომ ქ-ნი მარო სცხოვრობს რუსეთში და იკვლევს ქართულ ენას.

მეორე დღეს ჩვენ ფეხი შევსდგით ზემო-რაჭაში. დიდი დახვედრა მოგველოდა სოფ. სორში. დარბაისლური მისასალმებელი სიტყვით შეხვდა მგოსანს დაკვირვებულნი მოხუცი მიხეილ ჯაფარიძე. მან გამოიჩინა დიდი ნაკითხობა და ძველი ქართული მწერლობის ცოდნა. აქ ტაძარში დაგვათვალისწინებინეს შესანიშნავი ქსოვილები, დიდის მოწიწებით დაცული მყუდრო ადგილას. ვაი, რომ ახლა არ ვიცით, რა მდგომარეობაში იმყოფება ეს განძი და რომელი უნამუსო ხელი შეეხო მას?!

აქედან აჩქარებით გავსწიეთ მაშინდელ დაბა, დღევანდელ ქალაქ ონისაკენ, სადაც მოუთმენლად გველოდნენ. იქაურ მასპინძლებში უნდა აღვნიშნო ნოტარიუსი გოცირიძე ოჯახითურთ, დეკანოზი მათე გორდეზიანი, მალაქია ჯაფარიძის ოჯახი, განსაკუთრებით მისი შვილები ლადო და გრიგოლი, აგრეთვე მათი უნცროსი ძმა დათიკო, დღეს მეცნიერი-მკვლევარი. ონში მოეწყო დიდი ნადიმი. იქაურ ამბებში მოსახსენებელია ქართულად ჩაცმულ-დახურულ ბანოვანთა გამოსვლა. ასეთი სიმრავლე მათი არასოდეს გვენახა. სურათი სტოვებდა შთაბეჭდილებას. გადავწყვიტეთ ფილმზე გადაგველო. დავამწკრივეთ ქალები წყვილ-



წყვილად, ხოლო პირველ მწკრივში ჩავაყენეთ მგოსანი, რომელსაც მკლავგაყრილი მიჰყავდა მანდილოსნები. ამათ ყველამ ჩაუარეს კინო-აპარატს. საუბედუროდ, გადაღებული სურათი ხეირიანი ვერ გამოვიდა და ამიტომ მას არ აჩვენებდა ბ. ამაშუკელი. ონში, ალტაცებამ და მხიარულებამ მიაღწია უმწვერვალეს წერტილს. მაღლიერებით აღსავსენი დავიძერით ნიკორწმინდისაკენ. გავიარეთ ამბროლაური, რიონის მარცხენა პირას მდებარე, ერთ დროს მეფეების საზაფხულო სამყოფი, ბოლოს რაჭველ მაჩაბლების საკუთვნო. ნიკორწმინდის აღმართი ძლივს ავიარეთ. მგოსანი ეტლიდან გადმოვსვით. ცალიერი ცხენებზემული ეტლი მხოლოდ ხალხის მიშველებით აიტანეს ზევით. ნიკორწმინდაში ბინა გვქონდა დავით კანდელაკის ოჯახში, ტაძრის გვერდით. ეზოში, უშველებელ ხეებ ქვეშ, გაგვიმართეს წმინდა რაჭული ქეიფი. დაილია ბლომად ყიფიანის ღვინო, რომელსაც ალექსანდრულსაც ეძახიან. გაიმართა დიდი შეჯიბრი-სმა, რომელსაც აკაკი, თვითონ ღვინის და ალკოჰოლის არ მსმელი, განცვიფრებული შეჰყურებდა. ბოლოს მგოსნის მახვილმა თვალმა შენიშნა მოქეიფეთა შორის ერთი ჩოხით გამოწყობილი, ხოლო რუსული სახის მქნე კაცი. მივიდა მასთან, დაელაპარაკა რუსულად, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. უცნობი ქართულად ქეიფობდა, ქართულად სვამდა. აკაკიმ დაუწყო ბაასი ქართულად. გარეგნობით რუსი, ქართულს კარგად ლაპარაკობდა. აღმოჩნდა ვინმე სამოკვასოვი, შთამომავალი რაჭაში ძველი რუსი მსახურ-მოხელისა. ეს გაქართველებული რუსი, თურმე, ნათესავი ყოფილა ჰეტმან პოლუბოტოკის, რომლის შემდეგ უდიდესი მემკვიდრეობა დარჩა. რაჭველ სამოკვასოვს პრეტენზია განუცხადებია თავის მხრით ქართველ ვეჟილ კ. ჯ—ძის საშუალებით, მაგრამ საქმიდან არა გამოსულა რა, რადგან, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, იმდენი ნათესავი აღმოსჩენია ჰეტმანს სხვა და სხვა ერის, რჯულის და წოდებისა, რომ აღარ ღირებულა დავის ატეხა. ასეთ შემთხვევის მოწმე აკაკიმ დაგვიწყო ბაასი იმაზე, თუ რა სიძლიერის კულტურა გვქონია ჩვენ ქართველებს, რომ უცხო თესლის კაცი ასე გარდაგვიქმნია. უნებურად გამახსენდა, რომ ზემო ქართლში სამხედრო ბეგარისათვის ხალხის გაწვევის დროს ბევრი ჩვენთაგანი მოწმე გახდა ასეთ მოვლენის. ერთს დროს რუსულ აკადემიურ გაზეთ „რუსკია ვედომოსტის“ ერთი თანამშრომელი თავის გამოცემის ფურცლებზე სწერდა, რომ ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში მოგზაურობის დროს მას შეხვედრიან მოსახლენი, ადგილობრივი მკვიდრნი, რუსული გარეგნობით, გვარებით და მხოლოდ ქართულად (ქართლური კილოთი) მოლაპარაკენი, ხოლო რუსულის არ მცოდნენი. რუსის ლიტერატორი ჰგოდებდა, თუ როგორ მალე ჰკარგავენ რუსები ეროვნულ სახეს.

ნიკორწმინდაში, ჩვენმა, წარსულის მოყვარე მწერალმა დაათვალიერა ძველი ისტორიული ტაძარი, მდ. შეორის ხეობა, სადაც მდინარე იკარგება, სტოვებს მშრალ კალაპოტს და სამი კილომეტრის შემდეგ გვირაბიდან გამოშხუის ქელიშის ხეობაში. აკაკის აჩვენეს აგრეთვე პატარა წყარო-ტბა „ხარის თვალა“, რომელიც ხალხს უძიროდ წარმოუ-




დგენია. მნახველებს ადგილობრივი მოსახლენი უამბობენ, ვითომ ამ გზაზე ერთ მთვარიან ღამეს მოდენილა ძალზე შეზარხოშებული ცხენოსანი მგზავრი, ტბა გზის გაგრძელებად მიუღია და ცხენიანად დაღუპულა. ბევრი უძებნიათ, მაგრამ ველარ უპოვნიათ ვერც ცხენი და ვერც მხედარი. ეს ნაამბობი, რასაკვირველია, საბუთი იყო ხალხის თვალში, ტბის უძირობის დასამტკიცებელი. ამ შემთხვევის შემდეგ, — უმატებენ მოზღაპრენი — განკარგულება მოახდინეს და ტბა შემოჰლობესო. აკაკის ძალიან უნდოდა, მაგრამ დრომ ნება არ მისცა, დაეთვალა იერებინა ცნობილი ქელიშის მონასტერი მისი ისტორიული ხელნაწერებით, სადაც მოჯალათე რუსის სასულიერო მთავრობას დაპატიმრებული ჰყავდა ჩვენი სათნო, საყვარელი მოძღვარი ამბროსი ხელაია — შემდეგ საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსი, ქართველ უძველეს ეკლესიასათვის ტანჯული და 1922 წელს გენუის კონფერენციისადმი გაბედული წარმდგენი სამაგალითო მამულიშვილური და სარწმუნოებრივ აღტყინებით სავსე მიმართვისა.

ნიკორწმინდის შემდეგ, მგოსანი თავის ამალით ეწვია სოფელ ხოტევიში მცხოვრებ ჭიჭინაძიანთ ოჯახს, რომელიც უხვად გაგვიმასპინძლდა. მეთაური ამაყობდა, სხვათა შორის, თეთრი ხოტეურით, რომლის დაყენება, თურმე, მისი ოჯახის გარდმონაცემ სპეციალობას შეადგენდა. სამწუხაროდ, ამაყ მასპინძელს არ სცოდნოდა, რომ როგორც დიდ სტუმარს, ისე ზოგიერთ მის მხლებლებს, როგორც არა მსმელებს, ღვინის შეფასების უნარი არა გვქონდა.

ხოტევიდან წავედით დაბა ლაილაშს, სადაც აღმართი აგრეთვე ძლივს დავძლიეთ. მგოსანი მოჰხიბლა ლამაზმა ლაჯანურის ხეობამ. ლაილაშის მალლობიდან გადმოხედვა ყოფილ სადადიანოსა და სვანეთის მთებზე, მართლაც, რადაც უნდა ღირს...

უნებლიეთ გახსენდებათ სატანა და მაცხოვარი... ლეჩხუმელების დახვედრაც საგანგებო და დიდებული იყო, მაგრამ თავიდათავი მიზანი აკაკის მოგზაურობისა რაჭა იყო და ამიტომ მთელი ყურადღება მგოსნისა და მის მხლებელთა ამ კუთხემ დაიპყრო. ლაილაშიდან პირდაპირ ქუთაისს დავბრუნდით. აკაკი სრულებით არ იყო დაღალული. მოვისმინეთ მრავალი კარგი სიტყვა, ჩვენი საამაყო მწერლის მახვილი და! "ნიჭიერი საპასუხოები. ყველანი მოხიბლული ვიყავით ნასმენ-ნახულით. „თემის“ რედაქციამ შეაგროვა დიდი მასალა, შეუკვეთა სურათები, მაგრამ გარემოებამ ხელი არ გაუმართა სათანადო წიგნის გამოცემას. მხოლოდ შეგვრჩა პაწია აღწერა მოგზაურობისა, მწერალ ლადო ბზვანელის (ნაცვლიშვილის) მიერ გამოცემული.

რაჭა-ლეჩხუმის სინამდვილემ დაანახვა ჩვენს განთქმულ მწერალს მთა-გორიანი მეზობელი კუთხე ფრიად დაწინაურებული, ფრიად კულტუროსანი და ზნეობრივად მტკიცე. ხალხის გულახდილობამ, გრძნობის სადა, წმინდა ნაკადულმა, მამულის სიყვარულით გამოწვეულმა, დაუხატა მგოსანს ქეშმარიტი სახე პატარა ქვეყნისა. აკაკის წმინდა კეთილმა გულმაც ჰპოვა ხალხის გამოძახილი. ბევრი სიტყვების ძებნა



არა გვეჭირდება იმის გამოსარკვევად, თუ რა განიცადა დიდმა მოგზაურმა პირველად ნანახ მხარეში. ჯერ კიდევ მგზავრობის დროს გამოგვიცხადა ბევრს, რომ პოემას მიაართმევს ამ ხალხს ნობათად. და მართლაც უძღვნა „რაჭა-ლეჩხუმი“.

სამწუხაროდ აქ უცხოეთში გამოძევა, ისიც შემთხვევით, მხოლოდ ძვირფასი შესავალი ამ ნაწარმოებისა, რომლითაც გვსურს დავათავოთ ჩვენი მკრთალი აღწერა დიადი მოვლენისა:

ხანდისხან ცეცხლი გაჰქრება და გაცივდება კერაცა,
გგონია სახლი ილუპვის და მისი ბედისწერაცა;
მაგრამ რომ გაჰქექ ცივ ნაცარს და გამოუჩხრეკ მას

გულსა,
იქ ჰნახავ ობოლ ნაკვერჩხალს მიმალულ-მივიწყებულსა,
და იმ ნაკვერჩხლით ხელახლა ააგუზგუზებ კერასა,
სახლი გათბება და ბნელიც ნათელს ვერ აკლებს
ვერასა!

ასეა ეროვნებაცა! ზოგჯერ ის შელახულია,
მაგრამ სიცოცხლის ნიშანი სადღაც კი შენახულია.
მოძებნა უნდა იმ ნიშნის და ქვა-კუთხედად დადება.
ის აკვანია წარსულის, მყობადი დაიბადება!...
ჩვენი ხეც ეროვნობისა დღეს ვხედავთ სჰკნება და ხმება,
გრძნობას ჰგონია, მაგრამ კი გონება არ ეთანხმება!
ხეს რა გაახმობს, თუ მისი ფესვები კიდევ კარგია?
და ზედაც მისი წარსული უტყუვრად მონაქარგია...

გრიგოლ დიასამიძე

კავკასია და სომხები

ჟურნალ „კავკასია“-ს მკათათვის ნომერში (იხ. № 7—14) დაბეჭდილი გვექონდა ბ-ნ ჰაიდარ ბამატის წერილი — „სომხური სულისკვეთებანი“, რომელმაც გამოიწვია სომხურ პრესასა და პოლიტიკურ საზოგადოებრივობაში ფრიად საგულისხმო კამათი. ბ-ნი ბამატი, ეყრდნობოდა თავის წერილში უმთავრესად სომხური პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორი ფრთის პრესას: „რამკავორისა“, და „დაშნაკცუტიუნის“*)

*) „რამკავორ“-ი არის გამომსახველი უმთავრესად ოსმალეთის სომხების სულისკვეთებისა; რუსეთის ორიენტაციისა მუდამ (რეჟიმის მიუ-

და აღნიშნავდა სომხის ერის ხელმძღვანელთა დაბნეულობასა და გამოურკვევლობას, განსაკუთრებით კავკასიელ მეზობელთა და მათთან კონფედერაციისადმი. ის კამათი, რომლის ნიმუშები ქვევით მოგვყავს, საეხებით ადასტურებს ბ-ნ ბამატის ანალიზს და თავისი გულახდილობითა და გულწრფელობით, არა მარტო კარგ მაგალითს აძლევს ქართულსა (და ადერბეიჯანულ) „პოლიტიკურ“ პრესას ზრდილობისა და კულტურული კამათისას, არამედ საერთო კავკასიური ენის გამონახვის საშუალებასაც.

31 მკათათვის თარიღით, № 4527, სომხურ დაშნაკელთა გაზეთ „ნორ ორ“-ის*) რედაქტორმა „ა. კ.“-ს ხელმოწერით, დაბეჭდა ფრიად საგულისხმო მოწინავე წერილი: „სომხის ხალხს არა აქვს პოლიტიკური ხაზი“-ს სათაურით, რომელსაც მოჰყვა არა ნაკლებ საყურადღებო პოლემიკა სხვა, — დაშნაკურსავე — პრესაში და განსაკუთრებით პარიზულ „არაჩ“-ში.

რადგან სომხური პრესის სადაო საგანი უშუალოდ ეხება კავკასიის პრობლემას, საჭიროდ მიგვაჩნია ზედმიწევნით გავაცნოთ მათი პოლემიკა ქართულ საზოგადოებასაც.

ხედავად); დამოუკიდებლობისა არა სწამს რა და დღეს ბოლშევიკებს ემხრობა ოსმალეთის წინააღმდეგ.

„დაშნაკუტიუნი“-ს მდგომარეობა უფრო რთულია და ამიტომ უფრო ძნელი გამოსარკვევიც: იგი იყო დიდ ომამდე მთელი სომხობის ხელმძღვანელი და ეძებდა „გაერთიანებულ დიდი სომხეთის“ ავტონომიას რუსეთის საზღვრებში (ამ ოცნებას „მფარველობდა“ არა მარტო რუსეთი, არამედ ევროპის დიდი სახელმწიფონიც). ომის დროს სომხის ერი, დაშნაკუტიუნის მეთაურობით, მთლად მიემხრო ანტანტას, გამოუცხადა სასტიკი ომი ოსმალეთს და დამარცხდა თავის „მოკავშირეებზე“ სასტიკად: ნახევარი სომხობა ოსმალეთისა გაიქლიტა, მეორე ნახევარი განიბნა და მხოლოდ მესამედი სომხის ერისა იძულებული იყო გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა კავკასიის ფარგლებში. ნაომარს, როცა ოცნება და ტერიტორია შეკვეცილმა სომხეთმა დაკარგა დამოუკიდებლობაც და საბჭოთა უღელში აღმოჩნდა ახლად შებმული, დაშნაკუტიუნმა არ დაკარგა ხელმძღვანელის როლი საბოლოოდ, მაგრამ მისი მდგომარეობა უცნაურად გართულდა. საბჭოთა რუსეთში დარჩენილი ნაწილი სხვის განკარგულებასა და გავლენის ქვეშაა და მთელ ქვეყნიერობაზედ გაბნეული ოსმალეთის სომხობის მრავალრიცხოვანი დიასპორა კი (700 ათასი) თითქმის განსაკუთრებით სწორედ ამ კავკასიელ სომხების ხელმძღვანელობაში დარჩა, რომელნიც, ერთის მხრით, იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის (სხვა და სხვა ზომის ფარგლებში) და, მეორეს მხრით, აღარა სწამთ არც რუსეთისა და არც ევროპის სხვა სახელმწიფოთა „მფარველობისა“.

რედ.

*) იბეჭდება ათინაში.

„ნორ ორ“-ი სწერს:

„კავკასიელ ემიგრანტთა გამაერთიანებელ ორგანო „კავკაზ“-ში, პოლიტიკურმა მოღვაწემ ჰაიდარ ბამატმა უძღვნა დიდი წერილი კავკასიის განთავისუფლებას ბოლშევიკურ უღლისაგან და ამ განთავისუფლებისადმი დამოკიდებულებას სომხებისას.

ჰაიდარ ბამატმა თავის წერილში დიდი ადგილი დაუთმო დაშნაკცაკანებისა და რამკავორის ბეჭდვითი ორგანოების აზრებს ამ საკითხზედ.

მუსულმანური მოღვაწე, როგორც შისი წერილიდანა სჩანს, ახლო ეცნობოდა სომხურ პრესას და სომხურ პოლიტიკური აზროვნების ძიებას. იცნობს ჩვენს დავებსა და წინააღმდეგობათ და ისიც იცის, რომ ჩვენ, სომხებს, არა გვაქვს საერთო ფრონტი საგარეო პოლიტიკაშიც კი.

ამის აღიარება საჭიროა, რადგან ჩვენ მუდამ მხოლოდ ვთამაშობდით პოლიტიკობას და არც ვიცნობდით და არც ვანგარიშობდით იმ ძალებს, რომელნიც ჩვენი პოლიტიკის სფეროში იმყოფებიან.

ჩვენი პოლიტიკური მოღვაწენი და პუბლიცისტები ეხლაც ზერელედ იცნობენ კავკასიელ ერთა ისტორიას, მათ ეროვნულ სულს, მათ ნაკლებსა და ღირსებათ, მათს მნიშვნელობას...

ჩვენ არ ვიცნობთ არც მტრებს, არც მოყვარეთ და არც ვცდილობთ გავიცნოთ ამდენი უბედურებისა და გამოცდის შემდეგ.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ გრძნობით, ცრუმორწმუნეობით და ხშირად ისტორიულ მოვლენათა ყალბი ახსნით.

მაგალითად, რამკავორებს ვერ დაარწმუნებ, რომ რუსეთი — მეფეებისა თუ საბჭოების*) — უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში, ყოველთვის ატყუებდა სომხებს და თავის იარაღად იხდიდა. რუსოფილური ორიენტაცია რამკავორებისა ემყარება იმ სულელურ რწმენას, რომ რუსული უღლის ქვეშ უზრუნველყოფილია სომხების ფიზიკური არსებობა: უსიხარულო ფსიქოლოგია იავარქმნილი ხალხისა, რომელიც უწინარეს ყოვლისა ფიზიკურ გადარჩენაზედა ფიქრობს! ასევე ითქმის სომხის ხალხზედ — ოსმალეთის მიმართაც. დაშნაკცუტიუნი და მასთან მთელი სომხის ერი, ოსმალებსა სთვლის მხეცეზად, ბარბაროსებად, ცივილიზაციისათვის გამოუსადეგარად, ჩამორჩენილად და განწირულად.

*) კერენსკებისა და მილიუკოვებისაც. მთარგმნელი.

ასეთ შეხედულებათა მქონეთ, ჩვენ არ შეგვიძლია მოვამზადოთ ნიადაგი სომხურ საკითხის გადასაწყვეტად.

სომხის ხალხი ასწლობით ცხოვრობდა რუსეთთან და თურქეთთან, უნახავს კარგი და ცუდი დღეებიც, აღმაფრენაცა და დაცემაც, მაგრამ ... ვერც შეუერთდა და ვერც შეურიგდა ამ დიდი ერების ინტერესებს, ვერც ცალკე რომელიმეს, ვერც ერთავს.

ეხლა, სომხის ხალხი, შინ და საზღვარგარედ, არის რუსოფობიც და თურქოფობიც; ედავება რუსებსაც და თურქებსაც; ებრძვის ერთსაც და მეორესაც.

ესა ნიშნავს, რომ ჩვენ თითონ ჩავაყენეთ სომხის საკითხი ჩიხში, შეუძლებლად გავხადეთ მისი გადაჭრა.

მიზეზი ისაა, რომ არ ვიცნობთ არც ჩვენ დიდს და არც პატარა მეზობლებს, არც ვზომავთ ჩვენს სულიერ და ფიზიკურ ძალებს.

ერთი ნაწილი ჩვენი ხალხისა, არ ვიცნობთ რა რუსებს, უკანასკნელ საუკუნეში რუსოფილური განწყობილებისა იყო, და, არ ვიცნობთ რა ოსმალებს, მთელი სომხის ერი იყო და არის ანტითურქულად მომართული.

აი მიზეზი ჩვენი ტრალედიისა.

არ ვიცნობთ არც კავკასიელ ჩვენ მეზობლებს, მიუხედავად ერთად ცხოვრებისა, ერთ ყოფაში, ურთიერთზე გავლენისა და საერთო მისწრაფებისა.

კავკასიელი ერები: ქართველები, თათრები და მთიელები ჩვენზე უკეთ არიან მომზადებულნი და სწორე ხაზს ადგანან თავიანთი ეროვნული საკითხების გადაწყვეტაში, მისდევენ რა ერთ პოლიტიკურ გეზსა.

ამ ერთა საზღვარგარეთელ მოღვაწეთ რამდენიმე წელიწადია შეჰქმნეს კავკასიელთა ერთობა, რომლის მიზანია განთავისუფლება და დამოუკიდებლობა კავკასიისა. ისინი არა ერთხელა სცდილან მიემხროთ ამ ერთობაში სომხებიც, როგორც თანასწორნი.

მთავარი და არსებითი ისაა, თუ რა ღირებულებისაა ეს გაერთიანება და რამდენად მისაღწევია მისი მიზანი. ამაზედ შეიძლება სხვა და სხვა აზრი იყოს, მაგრამ ანგარიში არ გაეწიოს ამ ფაქტს და ცრუმორწმუნოებითა და წინასწარვე უარყოფით მიდგომა — შეუძლებელია.

ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ რუსები და თურქები ბოლოს და ბოლოს წავლენ კავკასიიდან და კავკასიელი ერები დარჩებიან თავის თავად, თავისუფალნი და დამოუკიდებელნი.



და განა საჭირო არ არის ეხლავე ერთმანეთის გაცნობა მეზობლებისაგან, მოლაპარაკება მათთან, გაუგებრობათა გაფანტვა, თანამშრომლობით მომზადება მშვიდობიანი ცხოვრებისა, კეთილმეზობლური და მეგობრული ატმოსფეროსა?

რამკავორების პრესა წინააღმდეგია კავკასიელებთან ყოველგვარი შეთანხმებისა, მათი პარტია წინააღმდეგია თურქებისაც. სომხის ერი წინააღმდეგია რუსებისაც და თურქებისაც.

ჩვენ ვკითხულობთ: როგორია შენი პოლიტიკური ხაზი სომხის ერო?

როდემდის უნდა ვიყვნეთ ასე გამოურკვეველნი პოლიტიკაში?“.

საბერძნეთის დაშნაკელთა არსებითად სწორე ამ შეფასებას, სასტიკად გამოეხმაურა პარიზელ დაშნაკელთა ორგანო „არაჩ“-ი: № 3801, 6 მარტიამობისთვისა, № 3802, 7 მარტიამობისთვისა, № 3803, 9 მარ. და № 3804, 10 მარტიამობისთვის მოწინავე წერილები ფეხდაფეხ მისდევს ათინელ „ნორ ორ“-ს და ანადგურებს, რომ... იმავე დასკვნამდე მივიდეს:

„არაჩი“: „კავკასიის საკითხი ერთთავად ირჩევა სომხურ საზოგადოებასა, პრესასა, წიგნებსა თუ კრებებზედ და, ვგონებთ, უკანასკნელ პულბიციტმაცა და მოღვაწემაც იცის კავკასიის ისტორიაც და ეხლანდელი ამბებიც. კერძოდ „დაშნაკუტიუნის“ პარტიას შეგროვილი აქვს გორები ყოველნაირ მასალებისა და გამოკვლევათა...

— და მოჰყავს რა ამონაწერი „ნორ ორ“-იდან, განაგრძობს:

...„სულ ნაკლები, 50 წლის ისტორია გვაქვს (დაშნაკუტიუნს), რომელიც უნდა წაიკითხოთ, ისწავლოთ, რომ პასუხი იცოდეთ, (ჩვენს პოლიტიკაზედ. მთარ.) ... და განა დამტკიცებული ფაქტი არ არის, რომ როგორც რუსეთი, ისე ოსმალეთი არაფრად აგდებდა ჩვენს ერთგულებასა და თანამშრომლობას, პირველი 1820 წლიდან და მეორე უფრო ადრიდგანვე და ახალგაზრდა ოსმალთა გადატრიალებამდე?... მართალია რომ ჩვენ გამოუვალ მდგომარეობაში ვართ. მაგრამ აქედან დასკვნა, რომ ეს „ჩვენი ბრალია“, ნიშნავს ერთის მოთხოვნას: გამოვნახოთ საერთო ენა რუსებთან ან თურქებთან.

ეს ძნელი არ არის, მხოლოდ ერთი პირობით: **სრული კაპიტულაციით ჩვენი მხრიდან.** თუ ჩვენ ათინელ თანამოდმეს შეუძლიან სხვა გამოსავლის ჩვენება, იგი ვალდებულია ეს გამოაცხადოს საჯაროდ, ან მიმართოს საცაჯერ არს... (დაშნაკუტიუნის ცენტრში? მთარ.)



...სომხების ერთი ნაწილის რუსოფილობაზედ არ გეკამათებით... საკმარისია ვსთქვათ, რომ დიდის დაგვიანებით, ამ გადაფასებას ვახდენთ, რასაც დაბეჯითებით მოითხოვს აღმოსავლეთის სომხების*) მთელი რიგი. არც ოსმალეთის სომხების რუსოფილობა იყო ისეთი გულუბრყვილო.

მერე გადმოცემულია მოკლე ისტორია 1839—1908 წლამდე (იხ. „კავკაზ“ № 10—58) და „რამდენიმე განმარტება“:

1. კავკასიელ ემიგრანტებსა აქვთ არა ერთი, არამედ ორი გაერთიანება: „პრომეთე“ და „კავკაზ“, ორივე თურქოფილური. პირველი ნილაბამოფარებული, მეორე — ნილაბახდილი. არის კიდევ რამოდენიმე ჯგუფი, რომელთაგან ერთი ქართული ჯგუფის აზრი უახლოვდება ჩვენსას.

2. ჩვენ განზე უჭერივართ არა „ცრუმორწმუნეობა“ და წინასწარ აზრებს“, არამედ ფაქტებს. ეს დამტკიცებულია და ხაზგასმული ათასჯერ.

3. თუ ისინი (კავკასიელი ერები) „ადგანან სწორე გზას“, — იმიტომ რომ მათ არა აქვთ არც სომეხ-ოსმალთა საკითხი, არც საზღვრების საკითხი, არც მილიონიანი ემიგრაცია, არც მილიონიანი მსხვერპლი. და მათგან ნაპოვნი „სწორე გზა“ ერთსა ჰგულისხმობს: დაეყრდნონ ოსმალეთს და ჯვარი დაუსვან დანარჩენთ...

„ნორ ორ“-ის რედაქტორს ტყუილადა ჰგონია, რომ კავკასიელი ემიგრანტები არა ერთხელ სცდილობდნენ სომხების მიზიდვას კავკასიურ გაერთიანებაში, თანასწორი წევრობის უფლებით. ისინი დღემდე სცდილობენ ჩვენც ჩაგვითრიონ ვითომ უმანკო დამოუკიდებლობისა და კონფედერაციის ქსელში. „პრომეთე“ ებლაუჭება ბრაუსელის პაქტს (უსომხებოდ) და „კავკაზ“-ს ხომ თქვენ თითონ იცნობთ (?) ... ისინი ყველგან მედგრად მუშაობენ და ყველგან ერთსა და იმავესა ჰკითხავენ: სად არიან სომხებიო?

აი სად უნდა გამოვიჩინოთ „ერთობა ეროვნულ ფრონტისა“ და ვაგრძნობინოთ ჩვენი ყოფნაცა და ჩვენი პოლიტიკაც...

მაშასადამე, არსებითი განსხვავება სხვა კავკასიელთაგან იმაში მდგომარეობს, რომ სომხები დღესვე მოითხოვენ ოსმალეთისაგანაც დათმობას ტერიტორიისას („თუნდ მცირესი“-ო — „არაჩ“ი № 3804) და ამის გარანტიას ... კავკასიელთაგან.

*) „აღმოსავლეთის სომხებს“ ეძახიან კავკასიის სომხებს. მთარ.

და სხვა კავკასიელთა მოთხოვნილება კი მდგომარეობს შემდეგში: „ჯერ შევქმნათ საერთო ფრონტი, გავათავისუფლოთ კავკასია, შევქმნათ კონფედერაცია, მოვიპოვოთ ნდობა ოსმალეთისა და შემდეგ ვილაპარაკოთ ამაზედ“. „არაჩ“-ს ასეთი პოზიცია კავკასიელებისა არ მოსწონს... „კავკასიის საკითხად გადავაქციოთ სომხური პრობლემა?“-ო (სომხურ საზოგადოებაში ესეთებიც არიან).

„სინამდვილეს პირდაპირ უნდა შევხედოთ... წარსულის შეცდომებსა და გულუბრყვილობას არ ვამართლებთ. მთელი საუკუნის განმავლობაში ჩვენ ვიყავით არა მარტო რუსოფილები, არამედ ანგლოფილებიც, ფრაგოფილებიც, ე.ი. „ევროპოფილები“ და ეხლაც გვყვანან გულუბრყვილონი, რომელთაცა სჯერათ ეს ილუზიები. მაგრამ განა ჩვენ შეგვიძლიან უცებ შევაბრუნოთ ისტორიის თვალი იმ წერტილიდან, საცა მივედით? განა ჩვენა გვაქვს საფუძველი „შევაბრუნოთ“, ავიღოთ უფრო საღი და პრაქტიკული კურსი?“

ამ რიგად, ყველაზედ თითქო მოწინააღმდეგე „კავკასიის ორიენტაციისა“ უურ. „არაჩ“-ი ებრძვის „ნორ ორ“-ს, მაგრამ სასოწარკვეთით, იმავე დასკვნამდე მიდის: სწორე გზას ვერა ხედავს სომხური პოლიტიკისათვის.

ჩვენი, ქართველებისა და სხვა კავკასიელთა პატრიოტული მოვალეობაა, მეგობრული ხელი გაუწოდოთ ჩვენ მეზობლებსა და ძმებს და უთხრათ, რომ გრძნობა (უკიდურესად პატივსაცემი მათ მდგომარეობაში) და სასოწარკვეთილება — ვერაფერი მრჩეველია ჯანსაღი და რეალური პოლიტიკის წარმოებაში. უნდა შეერთდეს ყველა ჩვენთაგანის არა მარტო „გორები მასალებისა“, არამედ ისტორიული გამოცდილებისაც, ოცნებისაც, თუ გნებავთ, მაგრამ, რაც მთავარია, ძალებისა და ნებისყოფისა არსებობისათვის და მარტო მაშინ შეიძლება მიღწევა იმ იდეალისა, რომ კავკასიელ ოთხ მთავარ და თანასწორ, თანასწორუფლებიან ერს მიეცეს უფლება დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარებისაც.

*
*
*

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

(გაგრძელება)

ბ-ნ ჩუბუნისის „მემუარებში“ უცნაური სათაურით: „მოგონება 1905 წლიდან 1921 წლ. 15 მარტამდინ“ (თუმცა იქ ბოლშევიკების რეჟიმის ბევრი ამბავიც არის მოგონებული, როგორც წარსულ ნომერში მოგახსენებდით) ბევრი რამ არის საინტერესო...

შემდეგ მოთხოვნილია ის ყველასათვის ნაცნობი ზღაპარი, მართალია, სხვა და სხვა ვარიაციით, თუ როგორ 100—200 გვარდიელმა გადაარჩინა საქართველო ნახევარ მილიონ გამხეცებულ და კბილებამდე შეიარაღებულ რუსის ჯარისაგან, როგორ მათვე აიღეს არსენალი, საცა 20,000 ჯარი იყო და 218 პოლკიც ეშველებოდა ამ გარნიზონს რუსებისას; მერე როგორ დევებივით იბრძოდნენ ყველა ფრონტებზე, ისე რომ გერკულესი, ცეზარები, ჰანიბალები, ნაპოლეონები, დევგმირები და ამირანები მათთან შედარებით, ღლაპებადაც არ გამოდგებოდნენ. კვებნასა აქვს ერთგვარი მნიშვნელობა და გასავალიც გულუბრყვილო ხალხში, მაგრამ ასეთ უჭკუო კვებნას რა სარგებლობა მოაქვს გამოქცეულ მენშევიზმისათვის, ძნელი წარმოსადგენია. ალბად ერთმანეთს ახალისებენ ამ ზღაპრებით, თორემ სხვა არა იყოს რა, სირცხვილია ევროპაში ასეთი აფრიკანული სისტემით ტრაბახი:

„აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამ;
 აღიდებულსა დიდ მტკვარსა, დავაყენებ და ყლაპს ვუზამ;
 ას ლიტრა რკინას დავღებავ, კბილს დავადგავ და კნაწს უზამ;
 ...თბილისს, ლანჩხუთს და ბათუმსა გადვირბენ, რუსებს —
 გზას ვუზამ,

ამდენ გმირობის მომქმედი, შავ ზღვას გავცურავ, ჭაფს ვუზამ.
 ხმელთაშუა ზღვას გავივლი, პარიზსაც ერთ ამბავს ვუზამ,
 ნაცარქექიას ზღაპარსა გავაასკეცებ ... რას უზამ?...

არ შეიძლება არ აღინიშნოს ამავე უანრის „შეცდომაც“, ამხანაგი ვალიკო სამხედრო გემის „კაროლ კარლის“ აღების შესახებ რომ ავრცელებს. „კაროლ კარლის“ აღებისა და გაქცევის სამარცხვინო ეპიზოდი მთლად დამახინჯებულია — მანშევიკების სასარგებლოდ. ეს „საქმე“ მომზადებული იყო ნაციონალისტებისაგან და განსაკუთრებით დ. მიქელაძისაგან და არც ერთი ტყვია მთლად მიძინებულ „კაროლ კარლიდან“ არ გავარდნილა; მხოლოდ ოფიცერი ცაგარელი რომ მოჰკლეს, ეს ვილაც გვარდიელმა გაუსწორა ანგარიში ... ზურგიდან.

საქართველოს შეეძინა „ფლოტი“, საცა „კაროლ კარლი“ ფრიად შესამჩნევი სამხედრო ერთეული იყო, მაგრამ მენშევიკებმა მესამე დღესვე გამოუშვეს დატყვევებული ბოლშევიკი მეზღვაურნი, გემები მათვე ჩააბარეს და ხელში ჩაგდებული სამხედრო ფლოტი, რომელიც ასე გამოადგებოდა საქართველოს, ბათუმის დაცვაში ოსმალთაგან, რამოდენიმე დღის შემდეგ გაიქცა.

79-ე გვერდზე ბ-ნ მომგონებელს მოჰყავს საინტერესო ცნობა, რომ „ომში დამარცხებულ ოსმალეთის მომხრე კავკასიის ერთმორჯულენი, დაღესტანში გადაესვენენ ბოლშევიკებს, ადერბეიჯანის პოლიტიკის მეთაურებიც ამ კავშირში შევიდნენ და 27 აპრილს 1920 წ. მათი რესპუბლიკის კარები გააღეს, საბჭოთა რუსეთის ლაშქარი ოსმალეთის ოფიცრებით ადერბეიჯანში შემოუშვეს, გაწითლდნენ და ჩვენს რესპუბლიკასაც დაუყოვნებლად თავს დაესხნენ.“

ესთქვათ რომ ეს მართალია, — და ასე დაიწყო, ყოველშემთხვევა-

ში, ამიერ კავკასიის დაპყრობა, — რას ფიქრობენ ზემოდ მკვებარა მენ-
 შევიკები ბ-ნ ჟორდანიას მეთაურობით:

1. საქართველოსა და ადერბეიჯანს ჰქონდათ „სამხედრო კავშირი“
 და რატომ არ მივეშველეთ ასე დასუსტებულს ადერბეიჯანს? (ერთხელ
 ბ-ნ ჟორდანიამ ასეთი პასუხი გასცა ასეთ შეკითხვაზე: თითონ ადერ-
 ბეიჯანს არ უნდოდა, რომ მივეშველებოდითო“.) ვსთქვათ ესეც მართა-
 ლია, მაგრამ, თუ სხვა არა ნაკლებ უნიჭო მოგონებებს წავიკითხავთ,
 სახელდობრ ბ-ნ ვ. ჯუღელის „ტიაჟოლი კრესტ“ს, გამოცემულს იმავე
 1920 წელს, დავინახავთ, რომ მისი პარტიის ოცნება იყო, თუ როგორ
 გახდებოდა ბოლშევიკები ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის მოსა-
 ზღვრე მეზობლები.


2. ადერბეიჯანის პოლიტიკის მეთაური ბრძანდებოდა ცნობილი
 რასულ-ზადე, ყოფილი ბოლშევიკი, და როგორა ხდება დღეს, რომ სწო-
 რედ ეს ყოფილი ბოლშევიკი და დღევანდელი პანთურქისტი („ოსმალე
 თის მომხრე კავკასიის ერთმორჯულე“, — ვალიკოს სიტყვით), დღესაც
 მხარს უმშვენებს ბ-ნ ნ. ჟორდანიას „ბრიუსელის“ კავკასიური პაქტით
 და „კავკასიელები“ კი ოსმალეთისა და ბოლშევიკების აგენტები არიან?

3. როგორ და რად მოხდა, რომ იმავე 1920 წლის მაისში, ჩვენი ჯა-
 რებისაგან დამარცხებულ ბოლშევიკებთან (და მობოლშევიკო-მოთურქო
 ადერბეიჯანთან), ბ-ნმა ჟორდანიამ დასდო ის სამარცხვინო 7 მაისის ხელ-
 შეკრულობა, რომლის ძალით, ჩვენ უნდა განავადებინა ჩვენი საზ-
 ლვრები; პროპაგანდის სრული თავისუფლება და მრავალრიცხოვან „წარ-
 მომადგენლობისათვის“ ასპარეზი დაგვეთმო; საიდუმლო მუხლების ძა-
 ლით, არ გაგონილი საერთაშორისო უფლებაში, — „სტუმართმოყვარე-
 ობა“ (რბილად რომა ვსთქვათ) მოგვესპო და ერთ ერთი უძვირფასესი
 პროვინცია — საინგილო — სხვისათვის გადაგვეცა (დღეს რომ უკვე
 გადაცემულზე მენშევიკებისაგან, ასეთი განგაშია ატეხილი).

და ეს ხელშეკრულობაც ხომ არ გამართლდება იმ უმწეო და არა
 იურიდიული დემაგოგიით, რომ „დანა ყელზე გვქონდა მიბჯენილი“
 და ამიტომ უთმობდითო: 7 მაისის ხელშეკრულობის დროს ჩვენ გამარ-
 ჯვებულნი ვიყავით; იმდენი ჯარი გვყავდა, როგორც არც ერთხელ,
 არამც თუ ჩვენი ნეტარმოსაგონებელი დამოუკიდებლობის დროს, ერე-
 კლე მეფის დროსაც არ გვყოლია და სულ ადვილი იყო ბოლშევიკების
 გადარეკვაც, ადერბეიჯანის განთავისუფლებაც და დღემდე ამიერ კა-
 ვკასიის შენახვაც, თუ სრულიად კავკასიისა არა.

აი რეები აკლია ჩუბინიძეების „მოგონებათ“ და რატომა სდუმან
 ისინი, ვისაც გაცილებით მეტი აქვთ მოსაგონარი?

თითონ ვ. ჩუბინიძე კი 82 გვერდზე გულუბრყვილოდ (?) განაგრ-
 ძობს: „ამ ომში დამარცხდა წითელი აზერბეიჯანი და მასთან ერთად
 საბჭოთა რუსეთის ლაშქარიც. აზერბეიჯანში გადაჯვარედინდა მაშინ-
 დელი ოსმალეთი და რუსეთი. აქ დაიწყო საბჭოთა რუსეთის ლაშქრის
 დაგროვება საქართველოს რესპუბლიკის დასაშალად“. (მართლწერა
 ჩუბინიძისა). და განაგრძობს უფრო გულუბრყვილოდ (?) ...„ოქტომ-
 ბერში (1920 წ.) გვარდიის შტაბის თათბირი იყო ვ. ჯუღელის თავმჯ-



დომარეობით და ... თათბირის ყველა დამსწრემ, ვფიქრობ, ჩემსავით გამოიტანა შთაბეჭდილება, (?) რომ დღიდან ყოველ ოცდაათხსაათში მობილიზაციას უნდა ველოდეთ“... ამბობს იმასაც, რომ 350 გვარდიელის მობილიზაცია მოხდა და „საოლქო შტაბის წევრმა სარ. მენალარი-შვილმა“... „გააცნო მდგომარეობა“... ზესტაფონში და მრავალი წვრილ-ლი ბოლშევიკებთან უკანასკნელ ომის დაწყებამდე. ერთს არ ამბობს მხოლოდ — და მთავარს — არც თითონ, არც „საოლქო შტაბის წევრი სარ. მენალარი-შვილი“ და არც არავინ უფრო მაღლა მდგომი, რომ მო-ბილიზაციის მაგიერ, ბოლშევიკებთან აუცილებლად მოსალოდნელ ომის წინ მოხდა დემობილიზაცია, ჯარების კადრებისა. რათა? რადგან, — როგორც აცხადებდნენ სხვა და სხვა დროს ბეჭდვით, სიტყვით და წე-რით, გაცილებით უფრო პასუხისმგებელნი, ვიდრე ჩვენი მემუარისტი, — რომ ომს სულ არ მოველოდით. ამას ლაპარაკობდა თბილისში ბ. ჟორდანიანი 1921 წ., რომში ბ-ნი ვოიტინსკი 1922 წ., პარიზში ბ-ნი ჩხენ-კელი 1921 წლიდან დღემდე; და აი, უბრალო კაცი, ვ. ჩუბინიძე, სულ სხვას ამბობს და მისი წიგნის დამბეჭდი მენშევიკური კოლექტივი არც ამჩნევს წინააღმდეგობას და არ იცის, რომ შუბი ხალთას არ დაიმალება არც უცხოეთისათვისა და არც შინაურისათვის, რადგან ტყუილს მოკლე ფეხები აბია, საზოგადოთ და მენშევიკურს განსაკუთრებით, რადგან ყველამ კარვად იცის, დოკუმენტებით ხელში, რომ ბოლშევიკები ომს გვიმზადებდნენ.

მაგრამ ყველაზედ სასაცილოა ბოლო ბ-ნი ვ. ჩუბინიძის „მოგონე-ბისა“. ამ რაინდულ ეპოპეის შემდეგ, საცა თითონ და გვარდია ყოველ-თვის და უკანასკნელ ომშიც გამარჯვებული გამოდის, მიდის ლანჩუ-თში, (გვ. 96.) ვილაცის ბრძანებით (იქნება საწყალმა ვალიკომ ესეც არ იცის), იარაღს იყრის და აბარებს წითელ-არმიის რწმუნებულს გენ. მაზნიაშვილს. მერე იკრიბებიან სარ. მენალარი-შვილის ბინაზედ (რო-მელიც კვლავ „მდგომარეობას აცნობს“) და ადგენენ: „მთელი ჩვენი ძალღონით ოკუპანტების წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალებით ვი-ბრძოლოთ იმ დრომდე, სანამ სამშობლოს (?) არ გავათავისუფლებთ და ამ მიზნით ყოველად შემიძლე და ურყევი იმედით დავიშალებით.“


„ვამბუჟა“ არ არის, მაშ რაა?!

სურათის დასასრულებლად ორიოდ სიტყვა სურათებზედაც, რო-მელიც ავტორს მოუთავსებია წიგნაკში. საერთოდ ცნობილია, რომ ქა-რთველი ხალხი ლამაზ ხალხად ითვლება და სად გამოძებნა ჩუბინიძემ ამდენი უმგვანო „ფათრეთი“ პირდაპირ გასაკვირველია. ჯერ „ავტო-ფათრეთი“ (გვ. 17), მერე არსენალის ამღები რაზმისა (გვ. 33) და მე-ტადრე ვ. ჯუღელისა, ა. დგებუაძე და ს. მაისურაძესი (გვ. 75) — მოგა-გონებენ უფრო ხუნხუზებს ან „ხაჩაგოგებს“, ვიდრე „ლა პლუ ბელ რას დიუ მონდ“. ვ. ჯუღელს, დგებუაძესა და მაისურაძეს პირადად იცნო-ბდა ყველა და ეხსომება, რომ ლამაზი ვაჟკაცები იყვნენ და რისთვის იყო საჭირო მათი დამახინჯება „ეშმაკის მათრახის სტილით“?



დანარჩენ სიმახინჯე - სიცრუებზე ამ წიგნაკისა ლაპარაკიც არა ღირს.

რ. გ.



მიიღება ხელის მოწერა 1939 წლის ჟურნალ „კ ა ვ კ ა ს ი ა“-ზედ

წელიწადი მესამე

წელიწადი მესამე

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

ჟურნალი მიზნად ისახავს კავკასიის უცხო ოკუპაციისაგან განთავისუფლებას და კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას კონფედერაციის საფუძველზედ.

ფიქრობს რა ჟურნალი, რომ კავკასიის პოლიტიკური დამოუკიდებლობის და კულტურულ - ეკონომიური წინსვლის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი სახელმწიფოს საფუძველზედ, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ სოლიდრობის ნიადაგზედ, იგი გაუწევს მედგარ ბრძოლას ყველა ანტიეროვნულ ძალას და ყველაზედ უწინარეს ინტერნაციონალიზმსა და მარქსიზმს ბოლშევიკური სახით იქნება იგი გამოსახული თუ მწვევიკური.

ჟურნალ „კავკასია“-ში 1938 წ. თანამშრომლობდნენ და მოათავსეს წერილები შემდეგმა პირებმა :

პროფ. ზ. ავალიშვილმა, შ. ამირეჯიბმა, დ. ახვლედიანმა, ვლ. ახმეტელმა, ჰ. ბამატმა, ლენ. შ. ბაქრაძემ, შ. ბერეჯიანმა, რ. გაბაშვილმა, ი. გვარამაძემ, გრ. დიასამიძემ, დინარელმა, ვლ. ემუხვარმა, ელ. ვაჩნაძე, ენ. ინსაბატომ, მიხ. კელიამ, ლენ. გ. კვინიტაძემ, მ. კაუხჩიშვილმა, ვლ. ოლენინმა, სევ. ურუშაძემ, დ. საღირაშვილმა, სადათირაშვილმა, სანორჩელმა, ს. ყრუაშვილმა, ზ. ციციშვილმა, ექ. გ. ჭაჭიაშვილმა, დ. ჭიბრიშვილმა, ნ. წაწალაშვილმა, გ. ჯაყელმა და მელ. ჟღენტმა.

გამოწერის პირობები :

	1 წლით	6 თვით	3 თვით
საფრანგეთში	36 ფრ.	18 ფრ.	9 ფრ.
უცხოეთში	38 ფრ.	19 ფრ.	9 ფრ. 50

რედაქციის მისამართი :

Mr. Joseph Gvaramadzé 73, rue Froidevaut, Paris 14°.

Le Gérant: R. Cornel.

Imprimerie de NAVARRE — 5, rue des Gobelins. Paris-13°.